ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 6 ივნისი, 2022 | №109 (8887) | ფასი: 80 თეთრი

ქუმსიშვილი, თურქი ბიზნესმენი, ნარკოსკანდალი და ცხე

გვ.2

რას შეეწირა გალიფ ოზთურქი?

„გვარამიას საქმე თეთრი ძაფითაა შეკერილი“

შალვა ხაჭაპურიძე: „ამნისტია აუცილებელია!“

გვ.2

„კონსტიტუცია ირღვევა ყოველდღიურად და ამაზე არ იღებს არც ერთი მოსამართლე ხმას. სირცხვილია ეს ყველაფერი, ამის იქით უკვე აღარაფერია!“



„ხელისუფლება ჩასახსნელია... ზურაბიშვილი „ოცნებას“ ემიჯნება“

გვ.3

შოთა მალაშხია: „ნატოდან შემოგვითვალეს, გვითხარით, რა უფრო გჭირდებათო. ამათ ხმა გაიკმინდეს, თითქოს არაფერი გვჭირდებოდეს“

გვ.4

რამაზ საყვარელიძე: „სალომე ზურაბიშვილის დიდი ხნის ამოცანაც და მიზანიც იყო საქართველოს დასავლურ სივრცეში დამკვიდრება“

„ევროპა ფრთხილობს და შეიძლება ზედმეტად არ გაალიზიანოს რუსეთი“

ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლა გლობალური უსაფრთხოების ფორუმის ფარგლებში პანელურ დისკუსიაზე

გვ.4

„5 დღე მიმდინარეობდა ჩვენთან ომი და მთელი ევროპა ჩაერთო. უკრაინაში მთელი ევროპა არაა ჩართული“

გვ.3

პაატა ზაქარეიშვილი: „ქართული ვარიანტი გათამაშდება უკრაინაშიც. მოეწერება ხელი ცეცხლის შეწყვეტას და მოლაპარაკებები გადავა სადღაც ჟენევაში“



ბორჯომის მუშებს პოლიცია დაუპირისპირდა

გვ.5

2 კულტურის მინისტრს ანჩისხატის მცველები აუჯანყდნენ

5 სახელმწიფო დაცვის მაღალჩინოსანი სექსკადრებით პარტნიორებს აშანტაჟებდა

6 უკრაინელმა სტუდენტმა დიპლომი ფრონტის ხაზზე დაიცვა

5 „სუიციდი გამორიცხულია, ილია ელოშვილს იარაღი შემთხვევით გაუვარდა“

1993230720223

„გვარამიას საქმე თეთრი ძაფითაა შეკერილი“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი შალვა ხაჭაპურიძე პასუხობს.

– ბატონო შალვა, მართალია ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოლოდინში ვართ, მაგრამ ქვეყნის შიგნით უამრავი პრობლემა გვაქვს მოსაგვარებელი. თქვენი შეფასებები და მოლოდინი, როგორც იურისტის? მით უმეტეს, როდესაც გდებენ ბრალს, რომ ქვეყანაში პოლიტპატიმრები გყავს. რას იტყვით ამ ყველაფერზე?

– პირველ რიგში ვიტყვი ამ ისტორიულ სტატუსთან დაკავშირებით, რასაც ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭება ჰქვია. მე ვფიქრობ, რომ არა მარტო მორატორიუმი უნდა გამოცხადდეს ერთმანეთის საუკუნოვან ლანძღვა-გინებასთან დაკავშირებით, არამედ ხელისუფლებამ უნდა გამოაცხადოს, რის გამოსწორებას და რის გაკეთებას აპირებს.

– კონკრეტულად რა კუთხით?

– მე რომ მათ ადგილას ვიყო, ვიტყოდი, რომ ვიწყებ სასამართლო რეფორმას და წარმოვადგენდი ახალ სასამართლო პაკეტს, რომელიც სასამართლოს გახდიდა დამოუკიდებელს. მაგალითად, მოსამართლეს დავუბრუნებდი 55-ე მუხლს, სადაც მოსამართლეს შეუძლია, პროკურატურის გარეშე განუსაზღვროს სასჯელი პატიმარს. იგივე ისეთი საკითხი, როგორიც არის პირობით ვადაზე ადრე განთავისუფლება და ასე შემდეგ, ავდგებოდი და სასამართლოს დავუბრუნებდი ისევ უკან. ეს ყველაფერი 2006 წელს წაართვეს სასამართლოს. იგივე, გავაკეთებდი ერთ ამნისტიას.

– ამნისტია ახსენეთ და აქვე გკითხავთ, თაკო ჩარკვიანი ითხოვს საყოველთაო ამნისტიას. პარლამენტში დააყენა ეს საკითხი. რეფორმებთან ერთად ესეც აუცილებელიაო. როგორ ფიქრობთ, წავა ამაზე „ქართული ოცნება“?

– რატომ არ უნდა დათანხმდეს? რა, ამნისტია სასწაული რამეა? ეს არის კეთილი ნება სახელმწიფოს მხრიდან. შენ რომ იცი, არ გაქვს იმ ხარისხის სასამართლო, რაც უნდა გქონდეს, რა თქმა უნდა, უამრავი არასწორი განაჩენია, ასევე სასამართლო შეცდომები და ასე შემდეგ. აღარაფერს ვამბობ მიკერძოებულ განაჩენებზე. ამნისტია ყველა ვარიანტში უნდა მოხდეს. რაღაც ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას სახელმწიფომ, აჩვენოს ევროპას, რომ რაღაცას აკეთებს და არის სტატუსის ღირსი. მე ხომ არ მიხსენებია ჯარი და ასე შემდეგ. მიხედოს სასამართლოს, ასევე საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებითაც რეალური ცვლილებების საკითხს დავაყენებდი. დასავლეთი ჩვენგან რას ითხოვს? ორ რამეს, სასამართლოს და არჩევნებს.

– ჯერჯერობით ამ კუთხით არანაირი მუშაობა არ მიდის.

– დიახ, არ ისმის არაფერი. ასევე ოდიოზური ფიგურები ვინც არიან და კლანები სასამართლოში, დისციპლინურ დევნას აღვძრავდი. რამდენიმე მოსამართლის გვარია მოხვედრილი სტრასბურის გადაწყვეტილებებში. ასეთ მოსამართლეებს საერთოდ მოვაშორებდი სისტემიდან. რამდენი რამის გაკეთება შეიძლებოდა, რომელიც დასავლეთს დაანახებდა, რომ ესენი მართლა დგამენ ევროპისკენ ნაბიჯს. მოვუწოდებდი ყველას, რომ მორატორიუმი გამოაცხადონ ამ ერთმანეთის ლანძღვა-გინებაზე და ეს ყველაფერი გადავიყვანოთ ცივილურ ფორმებში. უამრავი რაღაცის გაკეთება შეუძლიათ. ფინანსურ სიტუაციასაც უნდა მიხედონ. ძალიან მძიმე მდგომარეობაა ქვეყანაში, ხალხი ელემენტარულად გადარჩენისთვის იბრძვის.



„კონსტიტუცია ირღვევა ყოველდღიურად და ამაზე არ იღებს არც ერთი მოსამართლე ხმას. სირცხვილია ეს ყველაფერი, ამის იქით უკვე აღარაფერია!“

– ძალიან მძიმე მდგომარეობაა ამ კუთხით ბატონო შალვა. კატასტროფულადაა გაზრდილი ფასები. ყოველდღე ძვირდება ცხოვრება.

– ხალხი ისეთ დღეშია, რომ პოლიტიკის გაგონებაც აღარავის უნდა. ხალხი პოლიტიკურ თემებზე აღარ გამოდის ქუჩაში.

– რატომ დაკარგეს პროტესტის განცდა? დაიჭირეს მიშა, მერე ნიკა გვარამია. მათ მომხრეებს მაინც ხომ უნდა მოეწყოთ დიდი საპროტესტო აქციები. რა ხდება?

– ორპოლუსიანობაა შექმნილი ქვეყანაში. ხალხი ფიქრობს, რომ აი ესენი რომ მოვაშოროთ ხელისუფლებიდან, მერე ისინი მოვლენ. ისინი არ გვინდა. გარდაქმნას არც ერთი ცდილობს და არც მეორე. მონოპოლიზებული აქვთ ტელევიზიები, ფინანსები და ყველაფერი. უკვე 30 წელიწადია ერთი და იგივე ხალხს ვუყურებთ. გაკოტრებულები არიან აბსოლუტურად. არც რებრენდინგი და არაფერი არ ხდება. არც სჭირდებათ. მოწინააღმდეგეები არიან ერთმანეთის და ან ჩვენ ვიქნებით, ან ისინი და მორჩა. პოლიტიკური გარემო არ არსებობს. ვინც პროფესიონალია, პოლიტიკაში წასვლა არანაირად აღარ უნდა. ვინმეს პოლიტიკური ოპონენტი თუ გახდი, მაშინვე ციხეში ამოყოფ თავს.

– ეს ყველაფერი რომ არ არის ჩვენს ქვეყანაში, ამის გათვალისწინებით რა შანსები გვაქვს? როდესაც მოსამართლე დამოუკიდებლად ვერ იღებს გადაწყვეტილებას, წავიდეს თუ არა ამერიკაში კვალიფიკაციის ასამაღლებლად და დაამტკიცოს იმას, რომ სოლიდარობა გამოვუცხადეთ გვარამიას საქმის მოსამართლესო. ეს დამოუკიდებელი სასამართლოა?

შალვა ხაჭაპურიძე: „ამნისტია აუცილებელია!“

– რა თქმა უნდა, ქართული სასამართლო დამოუკიდებელი არ არის და ეს ფაქტი, რაზეც თქვენ გაამახვილეთ ყურადღება, მინდა გითხრათ, რომ ყველაზე შემაძრწუნებელი ფაქტი იყო. გაუგონარი რაღაც იყო. რომელი მოსამართლე იტყოდა უარს ამაზე?! თუ რომელიმე მოსამართლე ამას ამბობს, რომ არა, ბატონო, ამერიკაში სასწავლებლად არ გამიშვაო, კი ბატონო, ჩავუტაროთ მაშინ მაგათ სემინარები ხაბაროვსკის სასამართლოში! სწორედ იქ გაიარონ ტრენინგი, აბა თუ ამერიკა არ უნდათ, მაშინ მანდ წავიდნენ! ანუ ხვდებით, სისტემა სად არის?! სოლიდარობა არა ის კიდევ. ხმას არ იღებს არც ერთი მოსამართლე. 55-ე მუხლი წართმეული აქვთ, მოსამართლე დამოუკიდებლად ვერ იღებს გადაწყვეტილებას, კონსტიტუცია ირღვევა ყოველდღიურად და ამაზე არ იღებს არც ერთი მოსამართლე ხმას. სირცხვილია ეს ყველაფერი, ამის იქით უკვე აღარაფერია!

– გვარამიას განაჩენზე რას იტყვით?

– რაც შეეხება ახლა, გვარამიას განაჩენს, მე მომეცა შესაძლებლობა გადამეხედა. მე არ ვიცი, საერთოდ რა აზრი დევს ამაში. თუ შენ კომპანიის დამფუძნებელი გაძლევს უფლებამოსილებას, რომ შენ ფინანსები ასე და ასე განკარგეო, ვინ ეკითხება პროკურატურას?! თავიდან, პროკურატურის ბრალი ლოგიკასთან იყო. ისინი გვეუბნებოდნენ, რომ მან თანხები დამალა და ხელი შეუწყო კომპანიის გაკოტრებას. ამ ბრალზე რომ გამოტანილიყო განაჩენი, კიდევ რაღაცის თქმა შეიძლებოდა. თუმცა მოსამართლემ გადააკვალიფიცირა და სულ სხვა კვალიფიკაცია მისცა. ამაზე უკვე რა უნდა ვთქვა. სისულელეა, რომ ამაზე კომენტარი აკეთო, ისეთი თეთრი ძაფითაა შეკერილი.

– სააკაშვილზე რას იტყვით?

– რაც შეეხება სააკაშვილს, სააკაშვილთან საკითხი შემდეგნაირად არის, ორი განაჩენი არის. ამ საქმეების განხილვა მიმდინარეობს. ამ სასამართლოს ფონზე საერთოდ რა განაჩენზე უნდა იმსჯელო. აქ უნდა ჩატარდეს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა. ეს კარგა ხნის წინ უნდა ჩატარებულიყო. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზამ უნდა დადოს დასკვნა და შეიტანონ სასამართლოში მოთხოვნა სასჯელის გადავადებაზე.

– შესულები იყვნენ ემპათიის ექიმთა ჯგუფი და თქვეს, რომ მას სჭირდება საზღვარგარეთ მკურნალობა.

– ემპათიის ექიმმა თქვა, ამან თქვა, იმან თქვა, ამას კანონმდებლობა არ ცნობს!

– საჭიროა ექსპერტიზა?

– აუცილებლად! და უნდა გაეცეს ორ კითხვას პასუხი, არის თუ არა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე და მისი ამჟამინდელი ჯანმრთელობის მდგომარეობა ხელს უშლის თუ არა მას, სასჯელის მოხდაში?! ახლა, როგორც იქნა, დანიშნა სააკაშვილის მხარემაც და დანიშნა პროკურატურამაც. პროკურატურამ დანიშნა შემდეგი სახის ექსპერტიზა, რომ რაც სააკაშვილი პატიმარია, მას უტარდებოდა თუ არა ადეკვატური მკურნალობა და დარწმუნებული ვარ, რომ მიიღებს პასუხს – კი, უტარდებოდა ადეკვატური მკურნალობა. თუ მეორე მხარის ექსპერტიზა იტყვის, რომ მიუხედავად ჩატარებული მკურნალობისა, პატიმარი მძიმე ავადმყოფია, რა, მერე?! რა იცვლება ამითი სახელმწიფოსთვის? არც არაფერი. თუ დაიდება დასკვნა ალტერნატიული ექსპერტიზის, რომ არის მძიმე, აზრს კარგავს პროკურატურის დანიშნული ექსპერტიზა. მერე საკითხი, ციხის პირობებში თუ არის შესაძლებელი მისი მკურნალობა? ექსპერტი თუ იტყვის

„ექსპერტი თუ იტყვის, სააკაშვილი სამკურნალოა, მორჩა, დადგება სასჯელის გადავადების საკითხი. ასეთი დასკვნების საფუძველზე, მათ შორის კანონიერ ქურდებს აქვთ სასჯელი გადავადებული“

არაო, მორჩა, დადგება გადავადების საკითხი. ასეთი დასკვნების საფუძველზე, მათ შორის კანონიერ ქურდებს აქვთ სასჯელი გადავადებული.

– თუ იქნება დასკვნა, ანუ გაქვთ მოლოდინი, რომ გადაუვადებენ?

– რა თქმა უნდა. საჭიროა ეს დასკვნა. თუ შენ დასკვნა არ მიიტანე, უძახე რამდენიც გინდა მოსამართლეს ავადაა, ავადააო. ავად რომ ვარ და პროცესის გადადება მინდა, თუ სამედიცინო ცნობა არ მივიტანე, ფორმა ასი ბეჭდით დადასტურებული, მოსამართლე პროცესს არ გადადებს. ადვოკატს გაცდენას არ პატიობენ და პატიმარს ვინ გამოუშვებს ექსპერტიზის დასკვნის გარეშე?!

ჟუმსიშვილი, თურქი ბიზნესმენი, ნარკოსკანდალი და ციხე

რას შეეწირა გალიფ ოზთურქი?

გალიფ ოზთურქის საქმე – „ნოდარ მელაძის შაბათის“ ინფორმაციით, ნარკოდანაშაულისთვის დაპატიმრებულ თურქ ბიზნესმენს, ხელისუფლებასთან ურთიერთობა რამდენიმე თვის წინ დაეძაბა, როცა მისი და ყოფილი ჩინოვნიკის, დიმიტრი ქუმსიშვილის გზები გაიყარა.

„ტვ პირველის“ გამომძიებელი ჟურნალისტების მიერ მოპოვებული ინფორმაციით დგინდება, რომ ქუმსიშვილმა გალიფ ოზთურქისგან სადაზღვევო ბიზნესის ხუთ მილიონიანი წილი პრაქტიკულად უფასოდ მიიღო.

უფრო კონკრეტულად, ეკონომიკის მინისტრის პოსტიდან წასვლის შემდეგ, დაახლოებით წელიწადნახევარში ქუმსიშვილი აფუძნებს კომპანიას – შპს ახალი საინვესტიციო შესაძლებლობები. ის ამ კომპანიის 100-პროცენტიანი მფლობელია.

უკვე 2020 წლის თებერვალში ქუმსიშვილი თურქ ბიზნესმენთან ერთად ქმნის ახალ სადაზღვევო კომპანია „გრინ დაზღვევას“. ამ ბიზნესში ქუმსიშვილს 50% წილის სანაცვლოდ 5 მილიონი უნდა ჩაედო, ფული ოზთურქმა იმ პირობით ასესხა, რომ როცა სადაზღვევო კომპანია მოგებაზე გავიდოდა, ქუმსიშვილი მოგებიდან თანხას დაუბრუნებდა.

ერთობლივი ბიზნესის დაწყებიდან ერთ წელიწადში ოზთურქსა და ქუმსიშვილის შორის ურთიერთობა დაიძაბა. 2022 წლის იანვარში ქუმსიშვილმა თავისი წილი ადვოკატ გიორგი ყავლაშვილს გადასცა.

გაბრაზებულმა ოზთურქმა განცხადება გაავრცელა და თქვა, რომ ქუმსიშვილთან ყველა ურთიერთობას წყვეტს.

ამ დაპირისპირებიდან 6 თვეში ოზთურქს სპეცრაზმი უვარდება სახლში, ნარკოტიკებს პოულობენ და აკავებენ.

კულტურის მინისტრს ანჩისხატის მცველები აუჯანყდნენ

ხელოვანების გარდა, კულტურის მინისტრს ანჩისხატის მცველებიც აუჯანყდნენ. ისინი თეა წულუკიანს ბოდიშის მოხდას სთხოვენ და საჩივრით საპატრიარქოში მიდიან. მათი თქმით, წულუკიანმა მოიტყუა, როდესაც თქვა, რომ მუზეუმთან შეკრებილებმა ექსპონატები დააზიანეს.

– როგორ შეიძლება შეამოწმოს გულწრფელობაზე ისეთმა ადამიანმა, რომელიც 5 სიტყვიდან 8 იტყუება? წესით, მამა ჯაღმაიძე და პრესცენტრი უნდა იდგეს ამის სადარაჯოზე. როდესაც ცილს გვწამებენ, გამოვიდეს და დოკუმენტურად დავუდასტურებთ, ვიდეომასალებით, რომ აბსოლუტური ტყუილი თქვა მინისტრმა. მოსთხოვოს შენდობა მინისტრს მართლმადიდებლების ცილისწამებაზე. აბა, მოსთხოვოს შენდობა. ამას უნდა ემსახურებოდეს საზოგადოების ურთიერთობა, –ამბობს ანჩისხატის დაბრუნების საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელი ზაზა ნანობაშვილი.

ირაკლი ღარიბაშვილი ილია ელოშვილის ოჯახს სამძიმარს უცხადებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თბილისის მერის მოადგილის, ილია ელოშვილის გარდაცვალების გამო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს.

მთავრობის მეთაური უსამძიმრებს და თანადგომას უცხადებს ილია ელოშვილის ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და კოლეგებს.

„ილია გახლდათ გამორჩეული საჯარო მოხელე, ქვეყნის დიდი პატრიოტი, პროფესიონალი, ვისაც მუდამ თანამოქალაქეთადმი გვერდში დგომით იცნობდნენ. მისი წასვლა დიდი დანაკლისია ქალაქისთვის, ქვეყნისთვის, ახლობლებისა და მეგობრებისთვის. ამ მძიმე წუთებში, ვუსამძიმრებ და თანადგომას ვუცხადებ ილია ელოშვილის ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და კოლეგებს“, – აღნიშნავს პრემიერი.

გია ცაგარეიშვილი ოპოზიციაზე: „გაუკუღმართებულ პოლიტიკურ განცდებს აიგივებენ ამ ქვეყანასთან“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გია ცაგარეიშვილი ოპოზიციის ნაწილის მიერ საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მინიჭების საკითხზე გაკეთებულ განცხადებებს გამოეხმაურა.

ცაგარეიშვილის განცხადებით, ოპოზიციას არ წარმოუდგენია, რომ ქვეყანამ კანდიდატის სტატუსი მიიღოს.

– საერთაშორისო ორგანიზაციების თუ ევროპულ პარტიებში წევრიანდებიან და ეს პლატფორმა უნდათ გამოიყენონ იმისთვის, რომ ქვეყნის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობა აწარმოონ.

უმძიმეს ზმანებაშიც არ წარმოუდგენიათ ის, რომ ხვალ, ზეგ შეიძლება გათენდეს დღე და ჩვენ მივიღოთ კანდიდატის სტატუსი.

თავიანთ გაუკუღმართებულ პოლიტიკურ განცდებს აიგივებენ ამ ქვეყანასთან, ამუხრუჭებენ ქვეყანას და ებრძვიან არა „ქართულ ოცნებას“ და ხელისუფლებას, არამედ, გაშმაგებით ებრძვიან საკუთარ ხალხს. ამიტომაც, იქნებიან ყოველთვის ისეთი ლუზერები, როგორიც არიან, ევროპაშიც, უკრაინაშიც და საქართველოშიც, – განაცხადა გია ცაგარეიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრის დროს.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
ფინანსთა სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ხელისუფლება ჩასახსნელია... ზურაბიშვილი „ოცნებას“ ემიჯნება“

შოთა მალაშხია: „ნატოდან შემოგვითვალეს, გვითხარით, რა უფრო გჭირდებათო. ამათ ხმა გაიკმინდეს, თითქოს არაფერი გვჭირდებოდეს“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოში შექმნილ მდგომარეობასა და ევროპერსპექტივებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს, შოთა მალაშხიას.

– მალე ევროკომისია გამოაქვეყნებს თავის დასკვნას, თვის ბოლოს კი ევროკავშირის საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას ევროკავშირის წევრობის კანდიდატობაზე. რას ელით?

– ამ მოვლენის წინ ასეთი მდგომარეობა გვაქვს – დღეს ხელისუფლება ერთ მხარეს დგას, მეორე მხარესაა დანარჩენი საქართველო, რომელმაც დაიმსახურა ევროკავშირის წევრობის კანდიდატობა. ეს ასევე დაიმსახურა უკრაინამ და მოლდოვამ. იმედი მაქვს, რომ საქართველო, უკრაინა და მოლდოვა ამ სტატუსს მიიღებენ. მოსალოდნელია, რომ სამივე ქვეყნის მიმართ მიიღონ პოლიტიკური გადაწყვეტილება. ჩვენი ქვეყნების მოსახლეობას ანგარიში გაეწევა. კანდიდატის სტატუსი ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი საზოგადოებისთვის იმიტომაც არის აუცილებელი, რომ ამის შემდეგ მეტი ზეწოლა წამოვა საქართველოს პრო-რუსულ ხელისუფლებაზე და, ბოლოს და ბოლოს, სასამართლო სასამართლოს დაემსგავსება, პოლიცია – პოლიციას, მედიას ექნება თავისუფლება. ეს სტატუსი იქნება ბერკეტი იმისათვის, რომ, მაგალითად, პოლიციაზე შეწყდეს ზემოქმედება კრიმინალური სამყაროს, ასევე ხელისუფლების მხრიდან.

– მთავარია, კანდიდატმა ქვეყანამ მოთხოვნები შეასრულოს.

– ეს ხელისუფლება ჩასახსნელია. ეს უნდა მოხდეს მშვიდობიანი, არჩევნების გზით. მაშინ მოთხოვნებიც შესრულდება და განვითარება დაიწყება.

– ბევრი ვარაუდობს, რომ ვადამდელი არჩევნები არ იქნება, ანუ არჩევნები 2024 წლამდე ვერ გაიმართება.

– ეს ხელისუფლება, რომელიც რუსეთის ყველა დავალებას ასრულებს, ახლა რუსეთის გამარჯვების მოლოდინშია. ამათ ძალიან უნდათ უკრაინაში რუსეთის გამარჯვება, მაგრამ ამას ვერ ეღირსებიან. დანარჩენები უკრაინაში რუსეთს ვებრძვით.

– ბრძოლებში მონაწილეობით?

– ყველაფრით. ესაა სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობა, ჰუმანიტარული დახმარება, სოლიდარობა. მე და ჩემი ჯგუფი, მაგალითად, ამას უკრაინაზე ფილმებით ვაკეთებთ.

– ფილმები ომამდე გადაიღეთ.

– ყველანი მოუთმენლად ველით უკრაინის გამარჯვებას. ამის მკაფიო ნიშნები ჩანს. ასზე მეტი დღე გავიდა ომის დაწყებიდან. ომის პირველ დღეებში ოკუპანტ რუსებს „დენაციფიკაცია, დემილიტარიზაცია“ ეკერათ პირზე. ახლა ლავროვი აცხადებს, რომ მტრებს უნდათ მართლმადიდებელი რუსეთის მარცხი. სათქმელი აღარაფერი აქვთ. უკრაინას რუსეთის დასამარცხებლად ეძლევა შესაძლებლობები. ეს არის შეიარაღება, რომელიც დიდ მანძილზე ვრცელდება. ამ მძლავრი იარაღით შესაძლებელია ოკუპირებული ტერიტორიების (ანექსირებული ყირიმის გარდა) დაბრუნება, ასევე, რუსეთის ტერიტორიაზე დარტყმების განხორციელება. აშშ-ის ელჩმა უკრაინაში კარგად თქვა ამის შესახებ. მისი განცხადებით, უკრაინელების გადასაწყვეტია, რა მიმართულებით გაისვრიან.

– ზოგიერთი დასავლელი მოღვაწე რუსეთისთვის მაამებლურ განცხადებებს აკეთებს. ბერლუსკონი აცხადებს, რომ რუსეთი იზოლირებულია დასავლეთისგან, დასავლეთი კი დანარჩენი მსოფლიოსგან. მისი თქმით, ბევრმა სახელმწიფომ რუსეთს სანქციები არ დაუწესა.

– ბერლუსკონი აქტიურ პოლიტიკაში და მართვაში აღარ არის. ის გადაწყვეტილებებს არ იღებს. ბერლუსკონი კი არა, მერკელიც კი სხვანაირად აჭიკჭიკდა. კორუმპირებული ყოფილი მაღალჩინოსნების აზრს მნიშვნელობა არა აქვს. ხომ ხედავთ, იგივე ბერლუსკონი აღიარებს, რომ რუსეთი იზოლირებულია დასავლეთისგან. რუსული ნავთობის მიმართ ნაწილობრივ ემბარგოზე გადაწყვეტილება მიღებულია. მალე რუსულ გაზსაც იგივე მოელის.

– სერიოზულ შეიარაღებას ნატოს ქვეყნებიდან ნეიტრალური მოლდოვაც მიიღებს..

– სად არის საქართველო?! გაჩუმებული და შეშინებულია. ნატოს პროგრამებში საქართველოც მონაწილეობს, მაგრამ ამ პირობებში ხმას არ იღებს. ნატოდან შემოგვითვალეს, გვითხარით, რა უფრო გჭირდებათო. ამათ ხმა გაიკმინდეს, თითქოს არაფერი გვჭირდებოდეს. ამ მხრივ მოლდოვამ გვაჯობა. ეს ხელისუფლება ყალბი პატრიოტული რიტორიკით ფარავს იმ მდგომარეობას, რომელშიც აღმოჩნდა.

– რაზე საუბრობთ?

– არის ერთი ანეკდოტი. კაცი ფუნაში ზის. გამვლელი ეკითხება, მანდ რას აკეთებო? აბა, თავს ბუზებს ხომ არ შევაჭმევინებო, – პასუხობს სიბინძურეში მჯდომი. ეს ხელისუფლებაც ფუნაში ზის და გაიძახის, ბუზებისგან თავს ვიცავო. ყალბი პატრიოტული რიტორიკაა, როცა გაუთავებლად ლაპარაკობ რომელიმე მეფეზე. ბოლო დროს ერეკლე მეორეს ეძღვნება სიუჟეტები, გამოსვლები და მოხსენებები. საქართველოს ისტორიას პატივი უნდა მივაგოთ. ამას რად უნდა ამდენი საუბარი და კამათი. სად ერეკლე და სად ღარიბაშვილი! მთავრობამ, პირველ რიგში, ხალხზე უნდა იზრუნოს. დღეს მსოფლიო დგას გამოწვევების წინაშე, მოუგვარებელი კონფლიქტები გვაქვს, ხალხი შიმშილობს. მოშიმშილეებში ბევრი ბავშვია. ამ დროს მთავრობის ყურადღება გადატანილია ცრუ პატრიოტულ თემებზე. პრეზიდენტ ზურაბიშვილს ბოლოდროინდელ განცხადებებზე რას იტყვით? ისინი ნამდვილად ვერ ჩაითვლება პრორუსულად.

– პრეზიდენტი ფიქრობს – ესენი (დანარჩენი ხელისუფლება) უკვე ჩაძირულები არიან, ამათთან ვერ ვიქნებიო. ეტყობა, ზურაბიშვილი „ოცნებას“ ემიჯნება. როგორც გითხარით, დანარჩენები ფუნაში სხედან, ბუზებს იგერიებენ და ყალბ რიტორიკას ავრცელებენ. პრეზიდენტს ამ მდგომარეობაში ყოფნა არ უნდა.

– პრემიერის ვიზიტზე საუბრობთ ისრაელსა და იორდანიაში? მდინარე იორდანესთან

საქართველოს მიწა გადმოეცა. იქ ქართული კულტურის ცენტრი აშენდება.

– ამას ტურისტული დანიშნულება აქვს. ასეთი ნაკვეთი რუსეთსაც აქვს გადაცემული. ამაზე იმდენს ლაპარაკობენ, რომ ყველა ზღვარს გადასცდნენ. ფუნაში სხედან და ცრუ პატრიოტიზმის აფიშირებას ეწევიან.

– რუსეთის საგარეო უწყება აცხადებს, რომ დასავლეთი მოლდოვას ითრევს გაშმაგებული რუსოფობების კოალიციაში. საგარეო სამინისტროს თქმით, მოლდოვაში ავიწროებენ ადგილობრივ რუსულენოვან მოქალაქეებსა და რუსეთის მოქალაქეებს. ეს, შესაძლოა, დეზინფორმაცია იყოს. ნამდვილია ინფორმაცია იმაზე, რომ მოლდოვაში აიკრძალა რუსეთის საინფორმაციო და ანალიტიკური გადაცემების ტრანსლირება. ეს რაიმეს ნიშნავს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების წინ?

– საქართველოს რუსული ხელისუფლებისგან განსხვავებით, მოლდოვა ევროპას აჩვენებს, რომ მზადაა კონკრეტული ნაბიჯებისათვის. მოლდოვას ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ მხარი დაუჭიროს უკრაინას, რომ გახდეს დასავლეთის მოკავშირე. რასაც ვერ აკეთებს, ამაზე განმარტებებს იძლევა. სხვათა შორის, მოლდოვაში დააკავეს პრორუსი ექსპრეზიდენტიც. ჩვენთან ისმის გაუთავებელი „აბა, ომი გინდათ?“. ამათი ლოგიკით, უკრაინელებსაც უნდათ ომი – 250 მოკლული ბავშვი, დანგრეული სახლები, ობიექტები და ა. შ.

„5 დღე მიმდინარეობდა ჩვენთან ომი და მთელი ევროპა ჩაერთო. უკრაინაში მთელი ევროპა არაა ჩართული“

პაატა ზაქარეიშვილი: „ქართული ვარიანტი გათამაშდება უკრაინაშიც. მოეწერება ხელი ცეცხლის შეწყვეტას და მოლაპარაკებები გადავა სადღაც ჟენევაში“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

– ბატონო პაატა, აბსოლუტურად ყველას, როგორც პოლიტიკურ სპექტრს, ასევე საზოგადოების ძალიან დიდ ნაწილს, მოლოდინი გვაქვს თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს ევროკავშირი. რა მოლოდინები გაქვთ თქვენ?

– მე ველოდები, რომ ადრე თუ გვიან მოგვცემენ სტატუსს, აუცილებლად. ღმერთმა ქნას, ახლავე მოგვცენ და ყველაზე გვიან, ეს შეიძლება გაიწელოს არჩევნებამდე, 2024 წლამდე. მე ველოდები, რომ არ გვეტყვიან უარს და არ გვეტყვიან, რომ ღირსი არა ხართ სტატუსისა. თუმცა შეიძლება მოგვცენ პირობით. დაგვითქვან, რომ ამა და ამ პირობით გაძლევთ სტატუსს. არა მგონია, რომ უპირობოდ მოგვცენ. იმიტომ, რომ ძალიან ბევრი პრობლემები გვაქვს, სულ ცოტა, ელემენტარულად, „ქართული ოცნებას“ არ შეუძლია გადალახოს არასრულყოფილების კომპლექსი და შარლ მიშელის შეთანხმებას დაუბრუნდეს. ეს ერთ-ერთი პირობაა და არ აკეთებენ ამას. გამოდიან და აბრალებენ ოპოზიციას, როცა მთელი ოპოზიცია დაირაზმა და ყველაფერს აკეთებენ, მოუწოდებენ თავიანთ პარტნიორებს, რომ მოგვცენ კანდიდატის სტატუსი.

– არა და ღარიბაშვილმა ოპოზიციას დააბრალა, ძირს გვითხრიან დასავლეთშიო.

– გამოვიდნენ მაშინ და თქვან, ვინ უთხრით ძირს. აი, ალდემ როგორი მხარდაჭერა მოგვცა. ხუთი ოპოზიციური პარტია იყო იქ. მაშინ თითი დაადოს, ვის გულისხმობს და როგორ ხდება ეს ყველაფერი. ხელისუფლება, რომელიც აკონტროლებს პარლამენტს, ბიუჯეტს, მთავრობას, სასამართლოს, ყველაფერს აკონტროლებს, როგორ შეიძლება ვიღაცის ნათქვამმა საქმე გაგიფუჭოს და ეს იყოს დამანგრეველი?! როგორც ჩანს, ხელისუფლებაშია პრობლემა და თავიდან უნდა აცილება პასუხისმგებლობის. ეს ხელისუფლება ზუსტად ისე იქცევა, როგორც რუსეთი.

უკრაინას რომ აბრალებენ რაღაცებს, გაბრუებული ჰყავთ რუსეთის მოსახლეობა და მათაც სჯერა ამის. დაახლოებით ასე ჰყავს გაბრუებული ხელისუფლებას ქართული მოსახლეობის ნაწილი, რომელსაც სჯერა „ქართული ოცნების“. შესაბამისად, თუ ახლა არ მოგვცეს სტატუსი, ეს იქნება მხოლოდ „ქართული ოცნების“ სინდისზე! ეს ძალიან კარგად იციან და ამიტომ ამზადებენ ნიადაგს, რომ წავიდეს ბრალდებები ოპოზიციისკენ.

იმის მაგივრად, რომ დაიწყონ ლაპარაკი გამოსწორებაზე, რომ რაღაცები არ გაგვიკეთებია და უნდა გავაკეთოთ, სხვას აბრალებენ. ამით კი კიდევ უფრო მეტად გაყიდიან თავის თავს.

– ბატონო პაატა, ვისმენთ მოსაზრებებს, რომ ამ ტრიოს არ დააშორებენო. საქართველოს, უკრაინას და მოლდოვას სამივეს ერთად მისცემენ სტატუსსო. თქვენ ასე არ ფიქრობთ?

– მე მაინც მგონია, რომ მისცემენ სამივეს, ოღონდ პირობებით. ეს ჩემი მოსაზრებაა. ჩვენთან შარლ მიშელის შეთანხმებაზეა ლაპარაკი, ამ ორ ქვეყანაში სხვა პრობლემებია მოსაგვარებელი. ამიტომ სამივეს მოგვცემენ პირობებით, კარი ღიაა და დანარჩენი თქვენზეა დამოკიდებულიო, გვეტყვიან.

– უკრაინაში კვლავ საომარი მოქმედებები რომ მიმდინარეობს?

– მერე რა? ევროკავშირის წევრობას ხომ არ აძლევენ. კი, ბევრი სახელმწიფო ფიქრობს ასე ევროკავშირში, რომ ჯერ ადრეა. ყველანაირი კონფიგურაცია მოსალოდნელია. ნურავის ჰგონია დღეს, რომ გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. როგორც მე და თქვენ არ ვიცით, ისე არ იციან ევროკავშირში. ეს ყველაფერი გადაწყდება მაშინ, როცა შეიკრიბებიან. გარწმუნებთ, იქ იქნება ძალიან სერიოზული კამათი. შეიძლება ცხვირპირიც კი დაუმტვრიონ ერთმანეთს, რა თქმა უნდა, გადატანითი მნიშვნელობით. ასე რომ, ნუ ჰგონია ნურავის, რომ სადღაც უკვე ქურუმები შეთანხმდნენ, შეინახეს წმინდა წიგნი სეიფში და მე და თქვენ ვმარჩიელობთ გაზეთში, რა წერია იმ წერილში. ჯერ არსად არაფერი არ წერია. არავინ არ იცის, ვის როგორ მისცემენ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. პოლიტიკა კეთდება დღეს და აქ! შეიკრიბებიან კონკრეტულ დღეს ბრიუსელში და იქნება ცხარე კამათი. მოგვცემენ, ოღონდ პირობებით. თუ შეასრულებთ დავალებას, მოგვცემენ. ეს უკეთეს შემთხვევაში. ხოლო უარესს შემთხვევაში არ მოგვცემენ, ოღონდ პირობას დატოვებენ. აი ამ პირობას რომ შეასრულებთ, მერე ვიმსჯელებთ. არის ეს ორი ვარიანტი, მოგვცემენ პირობით, ან არ მოგვცემენ, მაგრამ მაინც პირობით.

– ბატონო პაატა, ექსპერტულ წრეებში ბევრი მიიჩნევს, რომ დასავლეთს სულ სხვა განწყობები აქვს უკრაინასთან დაკავშირებით. თუნდაც რუსეთთან დამოკიდებულება და სანქციების სიმკაცრე. 2008-ში არც ამხელა გამოხმაურება იყო და არც ასეთი სანქციები რუსეთის წინააღმდეგო. თქვენ რას იტყვით?

– არც ამდენ ხანს არ იყო ომი 2008-ში. ჩვენ შემთხვევაში 5 დღეში დამთავრდა საომარი მოქმედებები. რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, მე მაინც დავიცავ ევროპის პოზიციებს. 5 დღე მიმდინარეობდა ჩვენთან ომი და მთელი ევროპა ჩაერთო. დღეს კი მთელი ევროპა ჩართული არაა. რუსეთსა და უკრაინას შორის თუ მიდის მოლაპარაკებები, მიდის მარტო, ორმხრივი და როცა უნდა, მაშინ ჩერდებიან. ჩვენთან კი ევროპა მაშინვე ჩაერთო და ხალხის ხოცვა-ჟლეტა მაშინვე შეჩერდა. რა თქმა უნდა, მეტი შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ ევროპა მაშინვე ჩაერთო და ცეცხლი შეწყდა. ხუთ დღეში შეწყდა ხალხის ხოცვა.

– ანუ თქვენ არ საყვედურობთ ევროპას?

– არა! ის რაც მივიღეთ ჩვენ 2008 წელს, ეს იყო უკეთესი ყველა დანარჩენ უარესებს შორის. უარესი იქნებოდა ხალხის ხოცვა-ჟლეტის გაგრძელება საქართველოს ტერიტორიაზე. დაფიქრდეს, ვინც ამბობს, რომ ევროპა გონს ვერ მოეგოო. ნახონ, რა ხდება უკრაინაში და რა მოხდა საქართველოში! იქ ისევ გრძელდება ხალხის ხოცვა-ჟლეტა! კონფლიქტოლოგს მეძახიან და მეც ასე ვთვლი ჩემს თავს. რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, მე ვამბობ, რომ 2008-ში უფრო ეფექტურად იმუშავა ევროპამ, ვიდრე დღეს! მთავარი გაკეთდა მაშინ, შეწყდა ხალხის ხოცვა-ჟლეტა! ადამიანის სიცოცხლეზე ძვირფასი არაფერი არაა!

– რატომ ვერა და ვერ მოხდა ეს შეთანხმება უკრაინაში?

– იმიტომ, რომ ორივე მხარეს მიაჩნია, რომ კიდევ ცოტა დარჩა წარმატებამდე. უკრაინა ელოდება იარაღს ამერიკიდან და ევროპიდან. სულ მალე ჩავა. გემებით მოდის ეს იარაღი ლენდ-ლიზის კანონით. რუსეთიც ელოდება ამას. ყველა ელოდება ახლა, უკრაინა როგორ გამოიყენებს ამ იარაღს. შეავიწროებს და განდევნის დონეცკიდან და ლუგანსკიდან რუსეთს თუ მაინც ვერ განდევნის. დღეს ორივე მხარე არის პოზიციურ ბრძოლებში. არც ერთ მხარეს არ შეუძლია, რომ შეუტიოს, მაგრამ ორივეს შეუძლია დაიცვას თავის თავი.

– პუტინი აცხადებს, რომ ამ იარაღის მიწოდებით დასავლეთი ამ ომში ერთვებაო და იმუქრება მათი მისამართით.

– კი, აცხადებენ, მაგრამ ეს ძალიან არასერიოზულია. დასავლეთი იარაღს აძლევს ლენდ-ლიზის კანონით. ამ კანონით იგულისხმება, რომ ოდესღაც, უკრაინამ ფული უნდა გადაუხადოს ამერიკას ამ იარაღისთვის. ანუ ეს იარაღი ნაყიდია. ოღონდ „პოსლეზე“, ჩვენთან როგორც იტყვიან. ეს ძალიან გონივრული კანონია. ეს ის არ არის, რომ იარაღს აძლევენ და ეუბნებიან, წადი, რუსეთი დაამარცხე. სხვათა შორის, ლენდ-ლიზის კანონით, ინგლისმა საკმაოდ დიდხანს უხადა ფული ამერიკას, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამით იმის თქმა მინდა, რომ ეს არ არის ნაჩუქარი იარაღი. მერე შეიძლება ეჩუქოს, მაგრამ ამ წუთში, რუსეთს არანაირი მორალური უფლება არა აქვს, თქვას, რომ ამერიკა გვებრძვის ჩვენ.

– რა ვარაუდები გაქვთ, რამდენ ხანს გაგრძელდება ეს ომი?

– ყველაფერი რუსეთზეა დამოკიდებული. ყოველი ახალი დღე უფრო ძვირად უჯდება მას. მარცხდება და მარცხდება. რუსეთი უნდა მიხვდეს, რომ დროა შეწყვიტოს ბრძოლა და შეინარჩუნოს ის, რაც აქვს. ალბათ ქართული ვარიანტი გათამაშდება აქაც. მოეწერება ხელი ცეცხლის შეწყვეტას და მოლაპარაკებები გადავა სადღაც ჟენევაში. თუ რამე ჭკუა შერჩა რუსეთს, ასე უნდა მოიქცეს, შეწყვიტოს ცეცხლი. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რუსეთი როდის მიხვდება, რომ მისთვის ჯობია გაჩერდეს! რუსეთი გახდა მძევალი თავის წინდაუხედავი ნაბიჯისა. წინასწარ აღიარეს ლუგანსკის და დონეცკის დამოუკიდებლობა და ახლა ვალდებულები არიან, გაათავისუფლონ მათ მიერ აღიარებული ტერიტორიები. ხომ ვნახეთ, მარიუპოლზე რამხელა ძალისხმევა დასჭირდათ და რამდენი სისხლი დაიღვარა. ჩემი ვარაუდით, წლის ბოლომდე უნდა დამთავრდეს ყველაფერი. რუსეთი ახლა ელოდება, რა ტიპის იარაღს მიიღებს უკრაინა, თუ გაუწევს სერიოზულ წინააღმდეგობას. თუ ვერ შეძლო უკრაინამ რუსეთის შევიწროვება, აი მაშინ რუსეთს მეორე სუნთქვა გაეხსნება. წესით, წლის ბოლომდე აქტიური საომარი მოქმედებები დასრულდება.

„ევროპა ფრთხილობს და შეიძლება ზედმეტად არ გააღიზიანოს რუსეთი“

რამაზ საყვარელიძე: „სალომე ზურაბიშვილის დიდი ხნის ამოცანაც და მიზანიც იყო საქართველოს დასავლურ სივრცეში დამკვიდრება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– პატონო რამაზ, როგორია თქვენი მოლოდინი, ევროკავშირი კანდიდატი ქვეყნის სტატუსს მოგვცემს?

– მე ვფიქრობ, რომ სამივე ქვეყნის მიმართ ერთიანი და ერთნაირი გადაწყვეტილება იქნება მიღებული. არ მგონია, რომ მაგალითად, მოლდავეთს მისცენ და ჩვენ არ მოგვცენ ან პირიქით. ზოგადად ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის კუთხით, როგორც ვიცი, ჩვენ ორივე ქვეყანაზე წინ ვართ, მაგრამ გადაწყვეტილება ალბათ უფრო პოლიტიკური იქნება და ერთ პაკეტში მოგვაქცევენ. თუმცა, რა თქმა უნდა, ევროკავშირი სკურპულოზურად უყურებს ყველა საკითხს და ძალიან დიდი დაკვირვების შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას. ვნახოთ, რა გადაწონის, პოლიტიკური მდგენელი, რომელიც ნამდვილად არის ამ პროცესში, თუ ის ტრადიციები, რომელიც მთავარია ევროკავშირისთვის.

რამდენადაც ვიცი, ჯერ ერთიანი პოზიცია არ არის ამ საკითხზე. საერთოდ, შიგნით ძალიან დიდი აზრთა სხვადასხვაობაა ევროკავშირის გაფართოების საკითხზე. ვნახოთ.

– შეიძლება გეოპოლიტიკურმა რეალობამ გავლენა იქონიოს ევროკავშირის სკეპტიკოს წევრებზე?

– ძალიან მეეჭვება. სიმართლე გითხრათ, მე პესიმისტურად ვარ განწყობილი, რადგან უფრო გლობალურ პროცესებს ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა.

– არ ფიქრობთ, რომ თავისი დადებითი გადაწყვეტილებით ევროპა რუსეთს სიგნალს გაუგზავნის?

– უფრო პირიქით მგონია. წამყვანი შეიძლება იყოს ისეთი საკითხები, როგორიც არის საკვებზე ხელმისაწვდომობა, ნავთობპროდუქტები. ამ რეალობის გათვალისწინებით შეიძლება ევროპა უფრო ფრთხილი იყოს თავის გადაწყვეტილებაში, რომ ზედმეტად არ გააღიზიანოს რუსეთი. თუმცა, თუ ამერიკის მხარდაჭერას და ერთიანობას იგრძნობენ, მერე შეიძლება ბევრად უფრო თამამებიც კი იყვნენ გადაწყვეტილებებში. წლის ბოლომდე თუ ასე ერთიანად მივა დასავლეთი და მის პოზიციებში არ იქნება ისეთი რყევები, როგორიც, მაგალითად, უნგრეთს, ორბანს ჰქონდა, მაშინ სანქციები წლის ბოლოსთვის უკვე მთელი ძალით იქნება ამოქმედებული და რუსეთი დაუძლურდება, მერე უკვე ძალიან გაუჭირდება ომის წარმოება.

– საქართველოს დასავლურ გზაზე ძალიან აქტიურია პრეზიდენტი. აშკარად იგრძნობა განსხვავება სალომე ზურაბიშვილსა და „ქართული ოცნების“ რიტორიკაში. თქვენ ხედავთ ამ დისტანცირებას?

– დიდი ხანია ქალბატონ სალომეს ვიცნობ, მასზე აზრი, როგორც პიროვნებაზე, დიდი ხნის წინ ჩამომიყალიბდა, ჯერ კიდევ მანამ, სანამ საქართველოში ჩამოვიდოდა. ქალბატონი სალომეს დიდი ხნის ამოცანაც და მიზანიც იყო საქართველოს დასავლურ სივრცეში დამკვიდრება. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია მისი პოზიცია. ის დასავლურ ტრადიციებზეა აღზრდილი, მისთვის რუსეთი მიუღებელია.

რაც შეეხება თქვენს კითხვას დისტანცირებასთან დაკავშირებით, ნებისმიერი პოლიტიკოსი იყოს დამოუკიდებელი და დისტანცირებული თუ ეს ქვეყანას გამოადგება. სალომე ზურაბიშვილი არ არის მორიდებული პოლიტიკოსი. თან საკმაოდ დიდი პოლიტიკური გამოცდილება აქვს საიმისოდ, რომ სადაც თვლის საჭიროდ, იქ იყოს დისტანცირებული თუ დამოუკიდებელი და სადაც არა – არა.

– მიხეილ სააკაშვილის შეწყალებაზე მისი პოზიცია ცნობილია. ის აცხადებს, რომ ეს კიდევ უფრო მეტ პოლარიზებას გამოიწვევს საზოგადოებაში. რამდენად არის მისი პოზიცია არგუმენტირებული?

– არის და ახლავე აგიხსნით. „ქართული ოცნება“ თავის დროზე მოვიდა სწორედ იმ დაპირებებით, რომ ის აღადგენდა სამართლიანობას. რომ ყველა დანაშაულისთვის, რომელიც ჩაიდინა წინა ხელისუფლებამ, დამნაშავე აუცილებლად აგებდა პასუხს. ამ ხნის მანძილზე ამომრჩეველს ესმოდა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არათუ დასაჯა დამნაშავეები, არამედ ეს ხალხი გადმოიბარა და დააწინაურა კიდეც. ამან „ოცნების“ ამომრჩევლის დიდ ნაწილში სერიოზული იმედგაცრუება გამოიწვია. ეს უკვე კარგად გამოჩნდა ყველა შემდგომ არჩევნებზე. ეს ხალხი არჩევნებზე უბრალოდ არ მივიდა, სახლში დარჩა. შესაბამისად, ამომრჩევლის კლება სახეზეა. ეს სერიოზული პრობლემაა მმართველი პარტიისთვის. ცხადია, ეს ამომრჩეველი არის საზოგადოების ნაწილი. სააკაშვილს ჰყავს მომხრეები, მაგრამ ასევე ჰყავს მოწინააღმდეგეებიც. ეს ფაქტია.

– ევროკავშირის გადაწყვეტილებას რომ დავუბრუნდეთ. როგორ ფიქრობთ, დადებითი ან უარყოფითი გადაწყვეტილება რა გავლენას მოახდენს შიდა პოლიტიკურ პროცესებზე?

– ერთიც და მეორეც გავლენას იქონიებს, ცხადია, მეტ-ნაკლები სიმძაფრით. მინდა გამოვეხმაურო ოპოზიციის – გიორგი ვაშაძის, ზურა ჯაფარიძის, ხათუნა სამნიძის იმ სიხარულს, რომელიც სწორედ კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით „ალდეს“ მიერ მიღებული დადებითი რეზოლუციით იყო გამოწვეული. თუ ასეთ ერთგულ სამსახურს გაუწევს ოპოზიცია ქვეყანას შინ თუ გარეთ, მაშინ, მიუხედავად წარსულისა, მიუხედავად ყველაფრისა, ეს უნიკალურ პოლიტიკურ კლიმატს შექმნის, რაც გააჩენს შესაძლებლობას შიდა პროცესების ოდნავ მაინც დაცხრობის, ნორმალიზების, რაც ძალიან გვჭირდება.

ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლა გლობალური უსაფრთხოების ფორუმის ფარგლებში პანელურ დისკუსიაზე

– უპირველეს ყოვლისა, დიდი მადლობა ჩვენი მოწვევისთვის. ძალიან კარგი შესაძლებლობა მოგვცა საქართველოს ამბავზე, საქართველოს მიღწევებზე, პრობლემებსა და გამოწვევებზე სასაუბროდ.

უპირველეს ყოვლისა, ძალიან მოკლედ მოგიყვებით საქართველოს გამოცდილების – საქართველოს ამბის – შესახებ. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში – 2012 წლიდან – ძალიან ამბიციურ რეფორმებს ვახორციელებთ ყველა მიმართულებით: სასამართლო სისტემა, მედიის თავისუფლება, კანონის უზენაესობა, დემოკრატიის კონსოლიდაცია.

2014 წელს ხელი მოვაწერეთ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას. ეს გახლავთ ჩვენი ქვეყნის გენერალური გეგმა – საქართველოს ევროპეიზაციისა და მოდერნიზაციის გენგეგმა. მას შემდეგ ხელშესახები შედეგები გვაქვს და რამდენიმე მაგალითს მოვიყვან: ევროკავშირთან გაფორმებული თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება, უვიზო მიმოსვლის რეჟიმი და სულ ახლახან ოფიციალურად გავაკეთეთ განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე. ეს ისტორიული გადაწყვეტილებაა. რა თქმა უნდა, როდესაც საუბარი მაქვს ინტეგრაციასა და იმ გზაზე, რომელსაც ჩვენს ხალხთან ერთად გავდივართ, ეს არის ჩვენი ხალხის გადაწყვეტილება. ქართველ ერს სწამს, რომ ევროპული ოჯახის ნაწილი ვართ. საქართველო ევროპას მიეკუთვნება.

რა თქმა უნდა, ახლა ველით ევროკომისიის გადაწყვეტილებას კანდიდატის სტატუსის მონიჭებასთან დაკავშირებით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყველაფერს ვაკეთებთ და როგორც მოგახსენეთ, ხელშესახები შედეგები გვაქვს. მოდით ავიღოთ ასოცირების შეთანხმება, მისი 45 პროცენტი უკვე შესრულებულია; ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კონტექსტში წინსვლა გვაქვს, თან მნიშვნელოვანი.

საქართველო მოწინავე პოზიციებზეა. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ საქართველო ყოველთვის იყო მოწინავე პოზიციებზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. ამიტომ, გადამწყვეტი დროა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეტევის მომსწრენი ვართ.

ეს ისტორიული მომენტია. ახლა ევროკავშირის ჯერია. მან უნდა გადაწყვიტოს, დგას თუ არა ევროპა მისი მოკავშირეების – მისი პარტნიორებისა და მსგავსად მოაზროვნე ქვეყნების – გვერდით. კვლავ მინდა ვთქვა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი და გამოწვევებით სავსე დროა.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველომ გამოიარა ომი 2008 წელს – ბევრად ადრე, ვიდრე უკრაინამ, ბევრად ადრე, ვიდრე ყირიმმა. ჩვენ ყველაზე მაღალი ფასი გადავიხადეთ. ვინ გადაიხადა ეს ფასი? ქართველმა ხალხმა. 90-იან წლებშიც ორი ომი გვქონდა რუსეთთან, მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ – დამოუკიდებლობა დავიბრუნეთ.

ამიტომ, ეს არის ჩვენი მიზანსწრაფული არჩევანი. ვიტყოდი, რომ ეს არის ჩვენი ცივილიზაციური არჩევანი.

სპეკულირება არ მინდა. რა თქმა უნდა, ჩვენს მეგობრებს ვესაუბრებით ამის შესახებ. ევროპელ მეგობრებთან ვსაუბრობთ. მე პირადად მქონდა საუბარი ჩემს კოლეგებთან. მრავალი შეხვედრა გავმართე მათთან და სატელეფონო საუბრებიც მქონდა. ბრიუსელში 10 დღის ან 2 კვირის წინ ვიყავი და ლიდერებს შევხვდი. რა თქმა უნდა, ჩემი გზავნილი ის არის, რომ საქართველოს თავისი საშინაო დავალება შესრულებული აქვს და ახლა ველით ევროკავშირის გადაწყვეტილებას. ჩვენ კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. კანდიდატის სტატუსის მინიჭება პოლიტიკური, სტრატეგიული და თან მორალური გადაწყვეტილებაა, თან სიმბოლურია. ასე, მაგალითად, რა გზავნილს ვუგზავნით რუსეთს? ავიღოთ საქართველო. არ ვისაუბრებ სხვა ქვეყნებზე და მხოლოდ საქართველოს შესახებ ვიტყვი: საქართველო ერთგულია ევროპული სტანდარტების, ფასეულობების, ევროკავშირის ფასეულობების. თან ჩვენ ყველაზე მაღალი ფასი გვაქვს გადახდილი, რეფორმებს ვახორციელებთ, წინსვლა გვაქვს ყველა მიმართულებით.

ხელი მოვაწერეთ ასოცირების შეთანხმებას, თავისუფალ სავაჭრო შეთანხმებას, უვიზო მიმოსვლის რეჟიმს და წევრობაზე განაცხადიც გაკეთებულია. ახლა ევროპის ჯერია. ახლა მან უნდა გადაწყვიტოს.

მინდა, დავამატო ორივე სიტყვა საქართველოს სურვილთან დაკავშირებით, გახდეს ევროკავშირის წევრი. ჩვენ ვესაუბრებით ჩვენს ევროპელ მეგობრებს და ნება მომეცით, მკაფიოდ განვაცხადო, რომ საქართველო არ არის ქვეყანა, რომელიც ყოველთვის რაღაცას ითხოვს დაუმსახურებლად. პირიქით, ჩვენ ვართ წვლილის შემტანნი. მაგალითად, რამდენიმე წლის წინ ჩვენ გადავწყვიტეთ, გაგვეგზავნა ჩვენი მებრძოლები ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში. ეს იყო რთული, მძიმე გადაწყვეტილება. ამ ოპერაციას ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ხელმძღვანელობდა ევროკავშირი. და ეს იყო რთული გადაწყვეტილება. ჩვენ გავაგზავნეთ ერთი ბატალიონი, ანუ 500-ზე მეტი მებრძოლი, რათა დავხმარებოდით ჩვენს ევროპელ მეგობრებს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში. ანუ, იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ ყოველთვის შეგვაქვს წვლილი და ჩვენ – ქართველები და საქართველო ყოველთვის ვართ იქ, სადაც ეს ევროპას სჭირდება, სადაც მსოფლიოს, საერთაშორისო საზოგადოებას ვჭირდებით. ასევე არის ნატოს ოპერაციები და საქართველოს მონაწილეობა ამ ოპერაციებში ერაყში, ავღანეთში, სადაც ჩვენ გვყავს 2,000 მებრძოლი, რომელთაგან 35 მამაცი მებრძოლი დაიღუპა, სიცოცხლე შესწირა ამ საერთაშორისო იდეას, ტერორიზმთან ბრძოლას, ასევე ბრძოლას გლობალური მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის. 500-ზე მეტი მებრძოლი მძიმედ დაიჭრა.

ასე რომ, ჩემი დასკვნითი კომენტარი ასეთია: საქართველო არ ითხოვს არაფერს დაუმსახურებლად, სანაცვლოს გარეშე, ჩვენ უბრალოდ ვითხოვთ სამართლიან მოპყრობას.

საქართველოს მოსახლეობის 80%-ზე მეტი მხარს უჭერს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. ვიმეორებ, რომ ეს არის ჩვენი ხალხის არჩევანი. ჩვენ ეს გზა არ დაგვიწყია რამდენიმე წლის წინ. ეს ყოველთვის იყო ჩვენი ხალხის, ჩვენი წინაპრების ოცნება და სურვილი საუკუნეების წინ. რაც შეეხება გამოწვევებს, ოკუპაცია, მიმდინარე ოკუპაცია, რა თქმა უნდა, წარმოადგენს ყველაზე დიდ გამოწვევას. ჩვენი ტერიტორიის 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ. ჩვენ ვცხოვრობთ რუსეთის ჯარებთან ერთად ჩვენსავე ტერიტორიაზე. ისინი დგანან თბილისში მდებარე ჩემი ოფისიდან 40 კილომეტრში. რა თქმა უნდა, საქართველო დაუცველია. რა თქმა უნდა, საქართველო ძალიან რთულ სიტუაციაშია. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ ყოველთვის ვიყავით და ვართ ჩვენი ფუნდამენტური პრინციპების და ღირებულებების ერთგულნი, ასევე ჩვენი ურყევი გადაწყვეტილების ერთგულნი, გავხდეთ ევროკავშირის და ნატოს წევრი ქვეყანა.

ევროკავშირში არავის გამოუცდია ომი რუსეთთან, მაგრამ ჩვენ ეს გადავიტანეთ, თანაც სამჯერ: 90-იან წლებში, როცა აღვადგინეთ დამოუკიდებლობა, გვქონდა ომი აფხაზეთსა და ოსეთში, ანუ ჩვენს რეგიონებში და შემდეგ იყო უფრო ფართომასშტაბიანი ომი. ჩვენ ვიცით ომის ფასი. შესაბამისად, მშვიდობა და სტაბილურობა წარმოადგენს ჩვენი მთავრობის ყველაზე დიდ მიღწევას. და ახლა არის ყველაზე ხანგრძლივი მშვიდობიანი და სტაბილური პერიოდი ჩვენს ქვეყანაში. რა თქმა უნდა, ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს, რათა შევინარჩუნოთ მშვიდობა და სტაბილურობა.

საქართველო, თავისი არსით, არის ევროპული ქვეყანა და ჩვენ გვაქვს, ასე ვთქვათ, „კონსტიტუცია“, ანუ ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს ჩვენს გენერალურ გეგმას. ჩვენ ზუსტად ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ. რა თქმა უნდა, ჩვენ ვახორციელებთ რეფორმებს, რომლებზეც ჩვენ ავიღეთ პასუხისმგებლობა. ჩვენ ვიცით, როგორ მოვახდინოთ ჩვენი ქვეყნის ტრანსფორმაცია და ვაქციოთ იგი ნამდვილ ევროპულ სახელმწიფოდ. ასე რომ, 5-10 წელიწადში ჩვენ საკუთარ თავს ვხედავთ ევროპაში, ევროკავშირში. 10 წელი არის ჩვენი ოცნება და სურვილი.

ჩვენ სიცხადე უნდა შევიტანოთ ამ მნიშვნელოვან კითხვაში – იძლევა თუ არა კანდიდატის სტატუსი უსაფრთხოების გარანტიას? რა თქმა უნდა, არა და ჩვენს მიზანს აქ არ წარმოადგენს უსაფრთხოების საკითხის განხილვა. ერთადერთი ორგანიზაცია მსოფლიოში, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოების გარანტიებს, არის ნატო. დღეს კი ჩვენ ვსაუბრობთ ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსზე, რომელიც სიმბოლურია, თუმცა მნიშვნელოვანიც. ჩვენთვის ეს მნიშვნელოვანია. შესაბამისად, ჩემი პასუხია არა, კანდიდატის სტატუსი არ უზრუნველყოფს უსაფრთხოების გარანტიებს საქართველოსთვის, უკრაინისთვის თუ მოლდოვისთვის, მაგრამ ეს არის წახალისება, მეტი მოტივაცია ქვეყნისთვის რეფორმების გაგრძელების გზაზე.

რა თქმა უნდა, ოპოზიცია ყველგანაა და მათი დანიშნულება მთავრობის კრიტიკაა, რაც საკმაოდ ნორმალური რამ გახლავთ. ბევრი ოპოზიციური პარტია გვყავს ქვეყანაში. მხოლოდ პარლამენტში 9 პარტიაა. ბევრი ოპოზიციური სატელევიზიო არხი მუშაობს ქვეყანაში და ზოგადად, მედიასივრცე ძალიან დივერსიფიცირებულია.

რაც შეეხება პირველ კითხვას, საქართველოს მოლოდინი როგორია შეერთებული შტატებიდან, ამერიკა საქართველოს იმ დღიდან ეხმარება, როდესაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, თან მნიშვნელოვნად. 6 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი აქვს გამოყოფილი ბოლო 3 ათწლეულის განმავლობაში.

შეერთებული შტატები ხელგაშლილია საქართველოს თავდაცვის ძალების დახმარების მიმართულებით: იარაღსაც გვაწვდის და პირადი შემადგენლობის – სამხედრო პირების, ჯარისკაცების – წვრთნებსაც ატარებს.

აშშ ჩვენ გვეხმარება ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე: აძლიერებს ჩვენს დემოკრატიულ ინსტიტუტებს და ასე შემდეგ. ძალიან კარგი თანამშრომლობა გვაქვს და ნამდვილად ძლიერი პარტნიორობა და მეგობრობა გვაკავშირებს. ასეც გაგრძელდება. სტრატეგიული პარტნიორობა ამერიკასთან გრძელდება.

2014 წელს მივიღეთ კანონი დისკრიმინაციის წინააღმდეგ, რათა ქვეყანაში აღმოფხვრილიყო ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია. მართალი გითხრათ, ეს პრობლემას არც წარმოადგენს. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებშიც არსებობს პრობლემები, გამოწვევები ამ საკითხთან დაკავშირებით. მაგრამ კითხვაში გაჟღერებული ინფორმაცია არ წარმოადგენს სიმართლეს. ბატონმა ბრძანა, რომ ოპერატორი მოკლეს ამ კონფრონტაციისას. არ მინდა დეტალებით გადაგღალოთ, მაგრამ ძალიან მოკლედ გეტყვით, რომ პოლიციამ 30-ზე მეტი პირი დააკავა ჟურნალისტებსა და ოპერატორებზე თავდასხმის გამო. მათი გასამართლებაც მოხდა. ისინი ახლა ციხეში არიან. სახელმწიფოს ვალდებულებაც ეს არის, რომ დაიცვას ყველა მოქალაქე, მათი ორიენტაციის მიუხედავად, ან სხვა რაიმე ნიშნით. მინდა გაგახსენოთ, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ყველა მოქალაქე დაცულია.

რაც შეეხება მეორე კითხვას, რომელიც ბატონმა ბროკმა დასვა, რომლის ნახვაც ძალიან მიხარია, კანდიდატის სტატუსის მონიჭება არ ნიშნავს წევრობის მინიჭებას, რაზეც გეთანხმებით და მითქვამს კიდეც. ამიტომ, არ უნდა გვეშინოდეს ამ ახალი დემოკრატიების – საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის – ასეთი შეგულიანების – ასეთი მოტივაციის.

წარმოვიდგინოთ, რომ ევროკავშირმა არ მოგვანიჭა კანდიდატის სტატუსი, ვინ იქნება ამ გადაწყვეტილებით გახარებული? მხოლოდ რუსეთი! ვნახოთ, რა გზავნილს ვუგზავნით ჩვენი რეგიონის ქვეყნებს და სხვებს: ეს ქვეყნები ერთგულნი არიან, რეფორმებს ახორციელებენ, ასოცირების შეთანხმებებს აფორმებენ, უვიზო მიმოსვლის რეჟიმი გააჩნიათ – რაც ხელშესახები შედეგია და რომელსაც ჩვენი მოქალაქეები იყენებენ და მადლობელნი არიან – თავისუფალ სავაჭრო შეთანხმებას აწერენ ხელს, განაცხადს აკეთებენ და რა? ევროკავშირი იღებს გადაწყვეტილებას, რომ ეს სიმბოლური და აზრიანი სტატუსი მათ არ მიანიჭოს. ეს იქნება შეცდომა! ვფიქრობ, რომ ჩვენი ევროპელი მეგობრები უნდა დავარწმუნოთ, რომ სამივე ქვეყანას მიანიჭონ კანდიდატის სტატუსი.

„სუიციდი გამორიცხულია, ილია ელოშვილს იარაღი შემთხვევით გაუვარდა“

თბილისის მერის მოადგილის, ილია ელოშვილის გარდაცვალების მიზეზებზე მისი ოჯახის წევრები და მეგობრები საუბრობენ. „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას ისინი თვითმკვლელობის ვერსიას გამორიცხავენ.

ილია ელოშვილის ბავშვობის მეგობრის, ლაშა ქევანიშვილის ინფორმაციით, იარაღი, რითაც გასროლა მოხდა, ილია ელოშვილს ეკუთვნოდა და მას ლეგალურად ფლობდა.

– ილიამ იარაღი რამდენიმე წლის წინ შეიძინა და მას ლეგალურად ფლობდა. საბედისწერო ღამეს მას კონტაქტი ჰქონდა არა მხოლოდ ოჯახის წევრებთან, არამედ მეგობრებთან. გეგმავდა მომდევნო დღეების გატარებას, იყო სრულიად ადეკვატური და ხალისიანი. როგორც ვიცი, უძილობა აწუხებდა და, როგორც ჩანს, იარაღი გასაწმენდად აიღო. ეს არის უბედური შემთხვევა, ძალიან კარგად ვიცნობდი მას, მორწმუნე ვაჟკაცი იყო. სუიციდი ძალიან შორს იყო მისგან, – აცხადებს ლაშა ქევანიშვილი.

ოჯახის კიდევ ერთი ახლობლის, გიორგი წიკლაურის ინფორმაციით, ილია წინა დღით სამსახურში იმყოფებოდა, არაერთი შეხვედრა გამართა და მომდევნო დღეც სრულად გაწერილი ჰქონდა.

– დილის ხუთ საათამდე მეუღლესთან ერთად ოჯახის მოგზაურობის და დასვენების გეგმას განიხილავდა. იარაღის მოვლა, მისი გაწმენდა ილიას გასართობი საქმიანობა იყო, რაც სავარაუდოდ გახდა კიდეც უბედური შემთხვევის მიზეზი, – აცხადებს გიორგი წიკლაური.

ილია ელოშვილის კიდევ ერთი მეგობარი მალხაზ დათუკიშვილი აცხადებს, რომ ილია თავის მეგობრებთან ერთად ყაზბეგში, წვერის მამაწმინდას ეკლესიას აშენებდა, რომლის პროექტიც მზად იყო.

– გამორიცხულია სუიციდი, აბსოლუტურად დაუჯერებელი ამბავია. ამ დღეებში ყაზბეგში ასვლას ვაპირებდით, რადგან ხევში ვაშენებდით ეკლესიას. პროექტი მზად იყო და ვიწყებდით მშენებლობას. ამ ეკლესიას ილიას სახელზე მაინც ავაშენებთ, – ამბობს მალხაზ დათუკიშვილი.

ილია ელოშვილი პირველ ივნისს საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს.

ნიკა გვარამიას საქმეზე გამოტანილი განაჩენი დაუსაბუთებელია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეფასებით, „მთავარი არხის“ დირექტორის ნიკა გვარამიას საქმეზე გამოტანილი განაჩენი დაუსაბუთებელია.

ამის შესახებ ორგანიზაცია მონიტორინგის შედეგებს აქვეყნებს.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია გაეცნო ე.წ რუსთავი 2-ის საქმეზე ნიკა გვარამიას, კახაბერ დამენიას და ზურა იაშვილის მიმართ გამოტანილ განაჩენს. მოცემულ საქმეზე საია ახორციელებდა სასამართლო სხდომების მონიტორინგს.

საიას შეფასებით, სასამართლოში საქმის განხილვის სხვადასხვა ეტაპზე არსებულ კითხვებს, რაც ბრალდებულთა მიმართ ბრალის წარდგენის, სასამართლო განხილვის, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის სტანდარტებთან და მოსამართლის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან მიმართებით არსებობდა, სასამართლო არც განაჩენში პასუხობს, რის გამოც მიგვაჩნია, რომ განაჩენი დაუსაბუთებელია. ამასთანავე, სასამართლო სხდომის დარბაზში გამოკვლეული არაერთი მტკიცებულება გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ქმედებაში არ იყო დანაშაულის ნიშნები“ – აღნიშნულია ინფორმაციაში.

ძმები კაკულიების სახლიდან ამოღებული იარაღი ზურაბ ჟვანიას ეკუთვნოდა

თბილისში 30 მაისს დაკავებული ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტების, ძმები გურამ და დავით კაკულიების საქმის მასალებში წერია, რომ სახლიდან, რომელშიც კაკულიები იმყოფებოდნენ, 2 ზიგზაუერისა და მაკაროვის ტიპის ცეცხლსასროლი იარაღები ამოიღეს.

ჯერჯერობით უცნობია, ამ იარაღებიდან არის ნასროლი ტყვიები არაყიშვილის ქუჩაზე თუ არა. ეს ექსპერტიზამ უნდა დაადგინოს.

„მთავარი არხის“ მიერ მოპოვებულ საქმის მასალებში არაფერი წერია იმის შესახებ, ვის ეკუთვნის და ვის სახელზეა გაფორმებული კაკულიას ზურგჩანთიდან ამოღებული ზიგზაუერის ტიპის იარაღი.

წყარო შინაგან საქმეთა სამინისტროდან კი „მთავარს“ უყვება, რომ იარაღი გარდაცვლილ ზურაბ ჟვანიას ეკუთვნოდა. შესაბამისად, მემკვიდრეობით იარაღის მფლობელი ჟვანიების ოჯახია. კვალი ამ შემთხვევაში ზურაბ ჟვანიას შვილ, ბუსა ჟვანიამდე მიდის, რომელიც კაკულიების ახლო მეგობარია.

საგამოძიებო უწყებამ, სავარაუდოდ, პირველივე საათებში იცოდა, ვის ეკუთვნოდა კაკულიებისგან ამოღებული იარაღი. ზიგზაუერს აქვს ნომერი, რომლის ბაზაში გადამოწმებით რამდენიმე წამში ნახავდნენ ინფორმაციას. ამის მიუხედავად, საქმეში არ ფიგურირებს ჟვანიების ოჯახიდან არც ერთი პირი. არადა, სამართალდამცველები წესით უნდა დაინტერესებულიყვნენ, როგორ აღმოჩნდა საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის კუთვნილი იარაღი კაკულიების ხელში.

პოლონეთში ქმრის მიერ მოკლული 24 წლის ქალი საქართველოში ჩამოასვენეს

პოლონეთში მოკლული 24 წლის როზეტა ყალიჩავა სამშობლოში ჩამოასვენეს. სამი შვილის დედა საკუთარმა ქმარმა 25 მაისს მოკლა, კვალის დაფარვის მიზნით კი ბინას ცეცხლი წაუკიდა. ახალგაზრდა ქალის მკვლელობაში ბრალდებული დაკავებულია, მისი სამი შვილი კი ამ დრომდე პოლონეთში შესაბამის სამსახურში არიან გადაყვანილი.

ბავშვების ჩამოყვანა ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

როზეტა ყალიჩავას ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებით საჩივარი პოლიციაში ოთხჯერ ჰქონდა შეტანილი როგორც პოლონეთში, ასევე საქართველოში. ბავშვების მამაზე შემაკავებელი ორდერი სამ ჯერ იყო გამოწერილი, თუმცა, ამის მიუხედავად, დედა შვილების ნახვის უფლებას მაინც აძლევდა.

ერთ-ერთი ვიზიტისას მათ სიტყვიერი შელაპარაკება მოუვიდათ, რა დროსაც როზეტა ყალიჩავას მეუღლემ დანით მრავლობითი ჭრილობები მიაყენა.

„აფხაზეთს საქართველოში ვხედავ“

სოხუმმა დაურ ბუავაზე საქმე აღძრა

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო უსაფრთხოების სამსახურმა, 28 წლის ბლოგერის, დაურ ბუავას წინააღმდეგ „სახელმწიფო ღალატის“ მუხლით საქმე აღძრა. მიზეზი გადაღებული ვიდეო გახდა, სადაც ის ქართულ-აფხაზურ მეგობრობაზე საუბრობს.

დე ფაქტო რეჟიმის „უსაფრთხოების სამსახური“ თვლის, რომ ტიკტოკზე გამოქვეყნებული ვიდეოები, სადაც ბუავა აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის სტატუსით არსებობაზე საუბრობს, „საქართველოს ხელისუფლების პროპაგანდისტულ მიზნებს ემსახურება“.

– მე მიმყავდა ეთერი ტიკტოკის საკუთარ გვერდზე და გამოვთქვამდი საკუთარ აზრს, რომ აფხაზეთს ვხედავ საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის სახით, რადგან ასე უფრო გვექნება განვითარების საშუალება. მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, რომ აფხაზეთი რუსეთთან იყოს. გუშინ ვკითხულობდი ინფორმაციას ჩემ შესახებ და გავიგე, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე სისხლის სამართლის საქმე აღძრეს, სიმართლე გითხრათ, ეს ძალიან სასაცილოდ მეჩვენა იმიტომ, რომ მე რიგითი ადამიანი ვარ, რომელიც უბრალოდ საკუთარ აზრს გამოხატავს. მე მინდა, რომ შეხების წერტილები ვიპოვო აფხაზებსა და ქართველებს ორის, რაც აუცილებელია და ამის გამო სისხლის სამართლის საქმე წამოიწყეს ჩემზე, – ამბობს დაურ ბუავა.

ცნობისთვის, დაურ ბუავა ოკუპირებული აფხაზეთიდან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე საცხოვრებლად გასულ წელს გადმოვიდა.

სახელმწიფო დაცვის მაღალჩინოსანი სექსკადრებით პარტნიორებს აშანტაჟებდა

ახალგაზრდა ქალი „კურიერთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში ჰყვება, თუ როგორ აშანტაჟებდა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებით საკუთარი თანამშრომელი. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მაღალჩინოსანი მირიან ჯავახიშვილი ახლა განსასჯელის სკამზე ზის. პროკურატურამ ის დაზარალებულის განცხადების საფუძველზე დააკავა.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ბრალდებული სექსუალურ პარტნიორთან ურთიერთობას ფარულად იწერდა და შემდეგ, ამ ჩანაწერითვე აშანტაჟებდა. გამოძიების პროცესში გაირკვა, რომ ჯავახიშვილი მსგავსი მეთოდით სხვა ქალებსაც წლების განმავლობაში ემუქრებოდა. ყველაზე ძველი ჩანაწერი 10 წლის წინ არის გაკეთებული.

დაზარალებული ჰყვება, რომ ბრალდებული, ამ გზით, ქალებს ფულსაც სძალავდა და მასთან ურთიერთობასაც აიძულებდა. უარის შემთხვევაში კი მიმართავდა ადევნებას და უგზავნიდა მუქარის შემცველ შეტყობინებებს. შედეგად, ქალმა ფსიქოლოგიური ტრავმა მიიღო, რასაც ექსპერტიზის დასკვნაც ადასტურებს.

„რუსთავი 2-ის“ ინფორმაციით, დანაშაული ნაქირავებ ბინებსა და ნატახტარში მდებარე სასტუმროებში ხდებოდა, „კურიერმა“ მოიპოვა ამ საქმის კიდევ ერთი დაზარალებულის ჩვენება. ახალგაზრდა ქალის დაკითხვის ოქმით ირკვევა, რომ ბრალდებულმა მისი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები ჩაიწერა და შემდეგ გაასაჯაროვა კიდეც.

– მას ჰქონდა დისტანციური მართვის პულტისმაგვარი მოწყობილობა, რაშიც მოთავსებული იყო მცირე ზომის ე.წ. ჩიპი. თვითონ მითხრა, რომ ეს არის ვიდეოჩამწერი მოწყობილობა, რომლის საშუალებით ჩემთან ურთიერთობამდე მოახდინა სხვა ქალის პირადი ცხოვრების ჩაწერა, მასთან დაშორების შემდეგ კი აშანტაჟებდა და აშინებდა ამ ჩანაწერის გასაჯაროებით... მან ჩემი პირადი ცხოვრებაც გაასაჯაროვა დედაჩემთან, რითაც დამამცირა და შელახა ჩემი რეპუტაცია. მისგან მომდიოდა სმს შეტყობინებები, სადაც იყო მუქარა, რომ ვერასდროს სხვა პირი, სხვა მამაკაცი ვერ გამეკარებოდა, – ნათქვამია დაკითხვის ოქმში.

ბრალდებულის მამა დღეს „კურიერის“ კითხვებმა გააღიზიანა, თუმცა შეეცადა დავერწმუნებინეთ, რომ მისი შვილი უდანაშაულოა და რეალურად, პროვოკაცია მოუწყვეს.

ბრალდებულის უდანაშაულობაზე საუბრობს ადვოკატიც. გელა ნიკოლეიშვილი ადასტურებს, რომ საქმეში პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები ნამდვილად დევს, თუმცა ჩანაწერები მისი დაცვის ქვეშ მყოფს არ გაუკეთებია.

ის, რომ ბრალდებული პარტნიორებთან ურთიერთობას ფარულად იწერდა, უკვე დაადგინა გამოძიებამ. საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, პროკურორი ამბობს, რომ დანაშაული უტყუარად დასტურდება.

გადაკვეთის მცდელობისთვის უცხო ქვეყნის 3 მოქალაქეა დაკავებული

სასაზღვრო პოლიციამ საზღვრის უკანონოდ ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობისთვის უცხო ქვეყნის 3 მოქალაქე დაიკავა. ამის შესახებ ინფორმაციას სასაზღვრო პოლიცია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, დანაშაული 4-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, ბათუმის სამმართველოს სასაზღვრო სექტორ „კირნათის“ დასაცავ მონაკვეთზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, აზერბაიჯანის რესპუბლიკის 1 მოქალაქე – 1996 წელს დაბადებული ფ.ი. და თურქეთის რესპუბლიკის 2 მოქალაქე -1990 წელს დაბადებული ს.ჰ. და 1989 წელს დაბადებული ჩ.ქ. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე დააკავეს.

დანაშაული 4-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები, სასაზღვრო საკონტროლო-გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკის მიმართულებით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ჯგუფურად, უკანონოდ გადაკვეთას ცდილობდნენ.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-344-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“ – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

პოლიციამ იარაღი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში, სამეგრელოში, სვანეთში, შიდა ქართლსა და იმერეთში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები, ასევე, უკანონო საბრძოლო მასალა ამოიღეს, 3 პირი დააკავეს და 2 ამხილეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მესტიის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1981 წელს დაბადებული დ.ჩ. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით, მესტიის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში დააკავეს.

„სამართალდამცველებმა, მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და მჭიდი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ამავე დეპარტამენტის მარტვილის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1987 წელს დაბადებული ვ.ჭ. მარტვილში, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარების ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ ავტომობილიდან, რომლითაც ბრალდებული გადაადგილდებოდა, ნივთმტკიცებად ამოიღო პისტოლეტი და 38 ვაზნა.

შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის კასპის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1954 წელს დაბადებული რ.ე. და 1967 წელს დაბადებული ი.გ., სხვადასხვა დროს, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვაში ამხილეს. სამართალდამცველებმა კასპის მუნიციპალიტეტში, რ.ე.-ს საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს: 2 შაშხანა, 152 ვაზნა და 4 ამფეთქ-დეტონატორი, ხოლო ი.გ.-ისგან ნივთმტკიცების სახით ამოღებულია მაკაროვის კონსტრუქციის პისტოლეტი და ვაზნები.

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა კი 1998 წელს დაბადებული მ.ხ.

ქუთაისში, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ, ბრალდებულის კუთვნილი ავტოგასამართი სადგურის ჩხრეკის შედეგად, ცეცხლსასროლი პისტოლეტი, მჭიდი და 1 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღო.

დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს“ – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ბორჯომის მუშებს პოლიცია დაუპირისპირდა

ხმაური ბორჯომის ქარხანასთან – პოლიცია პროტესტის მონაწილეებს დაუპირისპირდა.

სიტუაცია ადგილზე დილიდან რამდენჯერმე დაიძაბა. სამართლდამცველებმა ქარხნის ტერიტორიიდან „ბორჯომის“ ქარხნის ტრაილერის მძღოლების განრიდება სცადეს, რასაც ხმაური და დაპირისპირება მოჰყვა.

ბორჯომის №1 ჩამომსხმელ ქარხანასთან ამ დროისთვის სიტუაცია განმუხტულია, თუმცა ადგილზე სამართალდამცველების უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობა რჩება.

ბორჯომის ქარხნის მუშათა პროტესტი კი გრძელდება. მათი მოთხოვნა არ იცვლება – სამუშაო პირობების გაუმჯობესება და ხელფასის 25%-იანი ზრდა, აგრეთვე იმ 50 თანამშრომლის დაბრუნება სამსახურში, რომლებიც ცოტა ხნის წინ გაათავისუფლეს.

მუშები საპროტესტო ტალღის შეჩერებას მანამდე არ აპირებენ, სანამ ქარხნის ადმინისტრაცია მათ მოთხოვნებს არ შეასრულებს.

უკრაინელმა სტუდენტმა დიპლომი ფრონტის ხაზზე დაიცვა

უკრაინელმა სტუდენტმა დიპლომი ფრონტის ხაზიდან დაიცვა, მან ნაშრომი სანგარში ყოფნისას წარმოადგინა.

ფრონტის ხაზზე მყოფმა სტუდენტმა მაქსიმალური 5 ქულიდან 4 ქულა მიიღო.

– სტუდენტი ონლაინრეჟიმში იცავდა დიპლომს და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ფრონტიდან ჩაერთო, მოსალოდნელი იყო ავტომატურადაც დაგეწერა მისთვის შეფასება, მაგრამ დამსახურებულად მიიღო 4 ქულა, – წერს სოციალურ ქსელში ლექტორი, მიხაილ განჩუკი.

ერევანში პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის დაპირისპირება გრძელდება

დაპირისპირებაა პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის სომხეთში. ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, დაშავებულია 60 აქტივისტი და 30 პოლიციელი, მათ სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობენ.

დაპირისპირება მას შემდეგ მოხდა, რაც ერევანში დემონსტრანტებმა, ნიკოლ ფაშინიანის გადადგომის მოთხოვნით, პრემიერ-მინისტრის რეზიდენციასთან გადაინაცვლეს.

ქვეყანაში ფაშინიანის გადადგომის მოთხოვნით, აქციები რამდენიმე კვირაა მიმდინარეობს.

უკრაინაში საფრანგეთის მოქალაქე მოკლეს

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად დაადასტურა ფრანგი სამხედრო მოხალისის გარდაცვალება, რომელიც უკრაინის მხარეს იბრძოდა.

ის სასიკვდილოდ დაიჭრა ხარკოვთან საარტილერიო სროლის შედეგად. საერთო ჯამში, გამოცემის ცნობით, ახლა უკრაინის მხარეს საფრანგეთიდან 150-მდე მოხალისე იბრძვის.

პუტინის ომის შემდეგ უკრაინის თავდაცვის სამინისტრომ ჩამოაყალიბა სპეციალური დანაყოფი – საერთაშორისო ლეგიონი უცხოელი მოხალისეებისთვის, რომლებსაც სურდათ მონაწილეობა მიეღოთ ქვეყნის დაცვაში რუსული აგრესიისგან.

ბი ბი სიმ გაავრცელა ინფორმაცია საერთაშორისო ლეგიონში მებრძოლი ბრიტანეთის და ერთი ამერიკის მოქალაქის დაღუპვის შესახებ.

800-მდე ადამიანი სევეროდონეცკის ქარხანას აფარებს თავს

ლუჰანსკის რეგიონული სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, სერჰი ჰაიდაის განცხადებით, 800-მდე მშვიდობიანი მოქალაქე სევეროდონეცკის ქიმიურ ქარხანას აფარებს თავს, რომელიც რუსული სარაკეტო თავდასხმის სამიზნე გახდა.

– იქ არიან ადგილობრივები, რომლებსაც ქალაქის დატოვებისკენ მოუწოდეს, მაგრამ მათ უარი განაცხადეს. იქ არიან ბავშვებიც, თუმცა ბევრი არა, – განაცხადა ლუჰანსკის რეგიონული სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა.

ბანგლადეშში საწყობში მომხდარი აფეთქების შედეგად 25 ადამიანი დაიღუპა

სულ მცირე 25 ადამიანი დაიღუპა და ასობით დაშავდა ბანგლადეშის ქალაქ ჩიტაგონგის მახლობლად მდებარე საწყობში მომხდარი ძლიერი აფეთქების შედეგად.

ადგილობრივი მედიის ცნობით, საწყობში ზოგიერთ კონტეინერში ქიმიური ნივთიერებები ინახებოდა.

თვითმხილველებმა საინფორმაციო სააგენტო „ფრანს-პრესს“ განუცხადეს, რომ აფეთქებამ რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მდგარი შენობები შეარყია.

გავრცელებული ინფორმაციით, დაშავებულთაგან ბევრი მძიმე მდგომარეობაშია.

ზოგიერთ მათგანს სხეულის 60%-დან 90%-მდე დამწვარი აქვთ. დაშავებულთა შორის არიან საწყობში დასაქმებული მუშები, ისევე, როგორც მეხანძრეები და პოლიციელები.

კუბაში 3 ადამიანი დაიღუპა და ათობით სახლი დაინგრა

კუბაში ძლიერი წვიმის შედეგად სამი ადამიანი დაიღუპა და ათობით სახლი დაინგრა.

ამის შესახებ სააგენტო პრენსა ლატინა იუწყება.

აღნიშნულია, რომ ძლიერმა წვიმამ და წყალდიდობამ მოიცვა კუბის დასავლეთი ნაწილი, მათ შორის პინარ დელ რიოს, სანქტი სპირიტუსის და ისლა დე ლა იუვენტუდის მუნიციპალიტეტები.

დაახლოებით 2 ათასი ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა სახლები.

გავრცელებული ინფორმაციით, ორი ადამიანი დაიღუპა კუბის დედაქალაქ ჰავანაში, მესამე კი პინარ დელ რიოს მუნიციპალიტეტში. ადგილობრივი ხელისუფლების ცნობით, წყალდიდობის შედეგად ჰავანაში დაახლოებით 50.000 მცხოვრები ელექტროენერგიის გარეშე დარჩა. მეტეოროლოგებმა აღნიშნეს, რომ კუბაში წვიმა გამოიწვია ქარიშხალმა აგატამ, რომელმაც განსაკუთრებული ზიანი მიაყენა სამხრეთ მექსიკას.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ედუარდ რომეუ: „თებასი მიზანმიმართულად ცდილობს, ბარსას ზიანი მიაყენოს“

ბარსელონამ, ფინანსური პრობლემების მიუხედავად, სივიესთან შეთანხმებაზე უარი თქვა. როგორც ესპანური მედია წერს, ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა:

უარი პირობების გაუმჯობესებაზე და ბარსასთვის არახელსაყრელი კონტრაქტი; ამასთან, ხელშეკრულების გაფორმება სუპერ ლიგის პროექტისთვის თავის დანებებას ნიშნავდა;

ბარსა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგნაირად აპირებს:

ბელემის აქციების 49.9%-ის გაყიდვა; თანხის სანაცვლოდ სატელევიზიო უფლებების 25%-ის დათმობა (მოლაპარაკებები რამდენიმე მხარესთან მიმდინარეობს); ფეხბურთელთა ანაზღაურების შემცირება; მნიშვნელოვანი მოთამაშეების გასხვისება.

ტრანსფერების განსახორციელებლად „ბლაუგრანას“ ფული აუცილებლად სჭირდება, ამიტომაც, ხელმძღვანელობა გამოსავლის პოვნას შეეცდება.

ედუარდ რომეუ, ბარსელონას ვიცე-პრეზიდენტი ეკონომიკურ საკითხებში:

– სივიესის პირობები კარგია პატარა გუნდებისთვის. დიდი გუნდებისთვის ეს შეთავაზება კარგი არაა. ამასთან, ლა ლიგას ისეთ პირობებზე შეუთანხმდა, რომელთაგან ძალიან ბევრი მიუღებელია. ეკონომიკურად ეს კარგი გარიგება არაა.

გვაქვს სხვა შეთავაზებაც, რომელიც სატელევიზიო უფლებების ნაწილის არა 50, არამედ 25 წლით გადაცემას ითვალისწინებს. სხვა წყაროებიდანაც რამდენიმე ალტერნატიული შემოთავაზება გვაქვს.

ყველაზე მეტად არ მოგვწონს, რომ შეთავაზება სატელევიზიო უფლებების ნაწილის 50 წლით გადაცემას მოითხოვს. არ გვინდა, ეს 25 წელს მეტხანს ხდებოდეს.

ვართ რა ლა ლიგის წევრები, ვერ ვხვდებით, რატომ გააფორმა ამ ორგანიზაციამ კონტრაქტი სხვა ვარიანტების განხილვის გარეშე.

გვაქვს ვარიანტი, ბლმ-ის აქციები 270 მილიონ ევროდ გავყიდოთ, მაგრამ ეს შემოთავაზება არ მოგვწონს, მეტი გვინდა. გარიგებაში უნდა ჩაიდოს კომპანიის უკან გამოსყიდვის უფლებაც.

მიმდინარე სეზონის სახელფასო ბიუჯეტი 560 მილიონი ევროა. ჩვენი სახელფასო ბიუჯეტი ბაიერნისას 2-ჯერ აღემატება. ფეხბურთელებისთვის ხელფასების შემცირების საკითხს ინდივიდუალურად განვიხილავთ. გვსურს, ჩვენი აქტივები გავაუმჯობესოთ. ჩვენი მიზანია, ხარჯები შევამციროთ და შემოსავლები გავზარდოთ.

ბიუჯეტში ფეხბურთელების გაყიდვა გათვალისწინებული არ გვაქვს. ფრენკი დე იონგი თუ წავა, უფრო ტექნიკური გადაწყვეტილება იქნება და არა ეკონომიკური. ვიმეორებ, რომ ფეხბურთელების გაყიდვა ბიუჯეტში გათვალისწინებული არაა.

ჩვენს ასეთ რთულ მდგომარეობაში წვლილი ტებასსაც მიუძღვის. ის მიზანმიმართულად ცდილობს, კლუბს ზიანი გრძელვადიან პერსპექტივაში მიაყენოს. ამ მიზნის მიღწევის ყველაზე იოლი გზა მის მიერ შემოთავაზებულ გარიგებაზე ხელის მოწერა იყო.

ევროპის სუპერლიგა კანონიერი ორგანიზაციაა და ეს პროექტი განხორციელდება. ნათელია, რომ ყველაფერი ფეხბურთის სასარგებლოდ შეიცვლება.

სატელევიზიო უფლებების ნაწილის გაყიდვის ან ახალი სესხის აღების იდეით აღფრთოვანებულები არ ვართ, მაგრამ ეს უნდა გავაკეთოთ.

ლევანდოვსკის შესაძენად ჯერ საჭიროა, რომ მისი ღირებულების სამმაგი ფასის ფეხბურთელები გავყიდოთ. თუ ეს ვერ შევძელით, ტრანსფერი არ გამოვა.

შავი ლომის მორიგი გამარჯვება

ქარის თასის რეგულარული გათამაშების ბოლოსწინა ტურში, შავმა ლომმა უშუალო კონკურენტი იგლზი სასურველი ბონუსით, 42:27 დაამარცხა და ფლეი ოფისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა.

ტურნირში აქამდე ჩატარებულ 5 თამაშს შორის, შავი ლომისთვის ეს ყოველმხრივ საუკეთესო იყო. ეს გარკვეულწილად იგლზმაც განაპირობა, რომელიც აქამდელ მეტოქეებს შორის ყველაზე ძლიერი იყო. ქართულ ფრენჩაიზს ხარისხიანი დაცვის ვარჯიში გამოუვიდა ძლიერ მოწინააღმდეგესთან და შეტევაშიც წარმატებით აკინძა ფაზები, რის შედეგადაც 6 ლელო გაიტანა და ლუკა მატკავამაც ყველა გარდასახა.

იგლზი ჯარიმით მე-6 წუთზე დაწინაურდა, თუმცა საქართველომ იქვე შეძლო მეტოქის წნეხში მოქცევა, ჯარიმა აუტში გადაიტანა, მოლის შემდეგ ლელომდე სანტიმეტრები დააკლდა, მაგრამ ძალისმიერი იერიში მე-3 მიძალებით ნოდარ ჭეიშვილმა დაასრულა. მასპინძლებმა ჯარიმით ჩამორჩენა მინიმუმამდე დაიყვანეს, მაგრამ მე-16 წუთზე ჯარიმით არ ვუპასუხეთ, დერეფნის შემდეგ ბურთი ხაზზე გავიტანეთ და რამდენიმე დარტყმის შემდეგ მიხეილ ბაბუნაშვილმა ლელო გაიტანა.

შავი ლომი ძალისმიერ თამაშში დომინირებდა, დერეფანშიც უშეცდომოდ თამაშობდა და სუფთად მოგებული ბურთის შემდეგ, 26-ე წუთზე აგორებული მოლი შალვა მამუკაშვილის ლელოთი დასრულდა. აფრიკელები გააქტიურდნენ და სახიფათო შეტევების სერია მოაწყვეს, მაგრამ დაცვა მედგრად დადგა.

35-ე წუთზე შავმა ლომმა ხელდახელ შეტევა განახორციელა, რომლის დროსაც 45 მეტრი დაფარა. შეტევაში თითქმის მთელმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა, მერაბ შარიქაძემ, მიხეილ ბაბუნაშვილმა და თორნიკე აქუბარდიამ დაცვის ზღუდეები გაარღვიეს, 5-მეტრიანთან კი, გამოცდილმა გიორგი ბეგაძემ აქუბარდიას ზურგსუკან პასი გაუკეთა და მანაც ლამაზი შეტევა ლელოთი დააგვირგვინა.

ეს შავი ლომისთვის მეოთხე, ბონუსის მომტანი ლელო იყო. ტაიმი 22-ქულიანი უპირატესობით უნდა დაფიქსირებულიყო, მაგრამ დასკვნით წუთებში დაშვებულ შეცდომას ჯერ შარიქაძე შეეწირა სინბინით, მერე კი აფრიკელებმა ფრთაზე მეტობა გაითამაშეს და ლელო გაიტანეს – 28:13.

მიუხედავად კაცნაკლულობისა, სტუმრებმა მე-2 ტაიმიც აქტიურად დაიწყეს. ფორვარდებმა მოკლე დარტყმების სერია აკინძეს და ლუკა ივანიშვილმა ლელო გაიტანა. იგლზმა გააფთრებით შემოგვიტია. 56-ე წუთზე მოედანზე ჩხუბიც ატყდა, რასაც სანდრო მამამთავრიშვილის წითელი ბარათი მოყვა. იგლზმა მეტობით ამჯერადაც ისარგებლა, 2 ლელოს გატანა მოახერხა, 2-ვე გარდასახა და სხვაობა 8 ქულამდე დაიყვანა.

შეხვედრის მიწურულს შავმა ლომმა შეძლო ბურთზე კონტროლის აღდგენა, მეტოქის ლელოს ნაბიჯ-ნაბიჯ მიუახლოვდა და მოლი თენგიზ ზამთარაძის ლელოთი დასრულდა, მატკავამ გარდასახა – 42:27.

რეგულარული გათამაშების დასკვნით მატჩს შავი ლომი 11 ივნისს გამართავს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

მონაკოს პრინცესა შარლენს კოვიდ-19 დაუდასტურდა

მონაკოს პრინცესა შარლენის მიერ კორანავირუსზე ჩაბარებულმა ტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა.

როგორც მონაკოს სასახლის წარმომადგენლებმა მას მედიის წარმომადგენლებს განუცხადეს, პრინცესამ ანალიზები კოვიდ-19-ის რამდენიმე სიმპტომის გამოვლენის შემდეგ ჩააბარა და რომელმაც შემდეგ ინფიცირება დაადასტურა.

– პრინცესა შარლენის ჯანმრთელობის დაცვის მოქმედი წესების შესაბამისად, ის თვითიზოლაციის რეჟიმს რამდენიმე დღის განმავლობაში დაიცავს. ამ დროისთვის მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სრულიად დამაკმაყოფილებელია, – ნათქვამია მონაკოს სასახლის წარმომადგენლის განცხადებაში.

ამის გამო პრინცესა არ ესწრება ჰიდროციკლებით რბოლას, რომლის ორგანიზატორი ტრადიციულად მისი საქველმოქმედო ფონდია და რომელიც პორტ ერკიულში ტარდება.

შაკირამ პიკესთან დაშორება დაადასტურა

ცნობილმა კოლუმბიელმა მომღერალმა შაკირამ დაადასტურა, რომ ის და ესპანური საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას“ კაპიტანი ჟერარ პიკე ერთმანეთს დაშორდნენ.

ცნობილი წყვილის დაშორების თაობაზე ინფორმაცია რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთმა ესპანურმა გამოცემამ გაავრცელა. მასში ნათქვამი იყო, რომ წყვილი ერთმანეთს დაშორდა, ხოლო ფეხბურთელმა ღამის კლუბებში სიარულს მოუხშირა, სადაც მას სხვადასხვა ქალების გარემოცვაში ხედავენ.

ახლა კი შაკირას და პიკეს დაშორების თაობაზე ინფორმაცია დადასტურდა.

– მწუხარებით ვადასტურებთ, რომ ჩვენი გზები გაიყო. ჩვენი შვილების კეთილდღეობისთვის და რომლებიც ჩვენ უპირველეს პრიორიტეტს წარმოადგენენ, გთხოვთ პატივი სცეთ ჩვენ პირად ცხოვრებას. გმადლობთ, რომ გაგებით მოეკიდეთ, – განაცხადა შაკირამ ერთ-ერთ ბრიტანულ გამოცემასთან საუბარში.

პირველი ინფორმაცია კოლუმბიელი მომღერლისა და ესპანელი ფეხბურთელის ურთიერთობის თაობაზე 2010 წელს გავრცელდა. წყვილმა ინფორმაცია ერთად ყოფნის თაობაზე 2011 წელს დაადასტურა. ორი წლის შემდეგ მათ შეეძინათ პირველი შვილი, რომელსაც მილანი დაარქვეს, ხოლო კიდევ ორი წლის შემდეგ მათ ეყოლათ მეორე შვილი, საშა.

ლატარიის მოყვარულს ექსპერიმენტმა სოლიდური მოგება დააკარგვინა

ინგლისის ჰემპშირის საგრაფოს ქალაქ გოსპორტის მკვიდრმა ლატარიის მოყვარულმა ქალმა ექსპერიმენტის გადაწყვეტილება მიიღო და შეცვალა ის რიცხვები, რომლებსაც მუდმივად ათამაშებდა ლატარიაში. ეს კი მსხვილი მოგების დაკარგვად დაუჯდა.

ოთხი შვილის დედამ, 45 წლის ლორნა ჰარტმა, განაცხადა, რომ ლატარია ევრომილიონში რვა წლის განმავლობაში ყოველ კვირას თამაშობდა და ერთსა და იმავე რიცხვების კომბინაციას 3, 25, 27, 28 და 29-ს იყენებდა. ქალს სამსახურისთვის თავის დანებება ინვალიდობის გამო მოუხდა და ლატარიის დახმარებით იმედოვნებდა ფული გამომუშავებას. თუმცა ერთ დღესაც მან ექსპერიმენტის ჩატარება გადაწყვიტა და სხვა ნომრები ჩაწერა. 12 მაისის დილას ჰარტი ლატარიის გათამაშების ვებგვერდზე შევიდა შედეგების სანახავად და ნანახმა მეტყველების უნარი დააკარგვინა. აღმოჩნდა, რომ მას ექსპერიმენტისთვის რომ არ მიემართა, შეეძლო ჯეკპოტი, 3,6 მილიონი ფუნტი სტერლინგი მოეგო.

– გაოგნებული, არაქათგამოცლილი, დაუძლურებული ვიყავი. ჩემს პარტნიორ კრეიგს დავურეკე და ვუთხარი: „შენ ვერასოდეს მიხვდები, თუ რა მოხდა“. მან მითხრა, რომ უბრალოდ ვერ უნდა მომეგო და მორჩა, ჩამომითვალა ყველა ის პრობლემა, რომლებიც შესაძლოა ამ დიდ მოგებას მოეტანა, – განაცხადა ჰარტმა.

მიუხედავად ასეთი წარუმატებლობისა, ქალი არ აპირებს ლატარიის თამაშზე უარის თქმას და იმედი აქვს, რომ თავისი საყვარელი რიცხვები მოგებას მაინც მოუტანს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

ახალგაზრდული ნაკრები განახევრებულიც იგებს

საქართველო-რუმინეთი 2:0
გორი. თენგიზ ბურჯანაძე
1:0, 2:0 კაპანაძე (68, 74)

საქართველო: მეგრელიშვილი, კაპანაძე (ჯინჯოლავა 77), ხვადაგიანი, აბულაძე, კალანდაძე, ნ.გაგნიძე, შ.ნონიკაშვილი (ლ.გაგნიძე 63), მოისწრაფიშვილი (ნ.ხორხელი 90), გოჩოლეიშვილი, გულიაშვილი (ლ.ხორხელი 77), გაგუა

რუმინეთი: პოპა, ტელჩეა, დრაგუშინი, ფარკაში (ბირზუ 90), დუმიტრესკუ, ლიქსანდრუ, გრამენი, კიმპანუ (სტოიკა 73), ბაირამი (მიკულესკუ 45), პეტრილა (პიცუ 69), ბირლიგეა (მარკოვიჩი 73)

საქართველოსა და რუმინეთის ახალგაზრდული ნაკრებები 2023 წლის ევროპის ჩემპიონატის თანამასპინძლები არიან, ორივე მათგანი საკვალიფიკაციო ეტაპიდან გათავისუფლებულია, ამიტომაც სათამაშო პრაქტიკას ერთმანეთში იღებენ. ერთმანეთს 2021 წლის რუმინეთშიც შეხვდნენ და 1:1 დასრულდა.

რამაზ სვანაძის გუნდი ოპტიმალური შემადგენლობით ნამდვილად არ იყო, რადგან ამ ნაკრების წევრებად მოიაზრებიან გიორგი მამარდაშვილი, ხვიჩა კვარაცხელია, ზურიკო დავითაშვილი, გიორგი წიტაიშვილი, გიორგი მიქაუტაძე, ირაკლი აზაროვი, ანზორ მექვაბიშვილი – ეს ფეხბურთელები ეროვნულ გუნდთან ერთად არიან და ახლა ახალგაზრდულისთვის „არ სცალიათ“.

პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა. თუმცა, საინტერესო ჩანდა ჩვენი გუნდის ნახევარდაცვა. მთლიანობაშიც გუნდი ბევრს მოძრაობდა და მჭიდრო თამაშით მეტოქეს გასაქანს არ აძლევდა.

შესვენების შემდეგ სტუმრები გააქტიურდნენ და თამაშიც გათანაბრდა. სამაგიეროდ, ჩვენ გუნდს კონტრშეტევებისთვის მეტი სივრცე შეუქმნა. მე-60 წუთზე ცოტნე კაპანაძე მარჯვენა ფლანგიდან ჩაერთო და ჩაწოდებული ბურთი ძელს მოარტყა.

ცოტნემ მაინც გაიტანა, თანაც – 2. ჯერ 68-ე წუთზე ლუკა გაგნიძემ მოედნის ცენტრში შესანიშნავი გადაცემით წამოიწყო შეტევა, რომელიც გულიაშვილმა გააგრძელა და ბურთი კაპანაძეს გააყოლა, რომელიც საჯარიმოში შეიჭრა და ახლო კუთხეში უძლიერესი დარტყმით ანგარიში გახსნა – 1:0.

6 წუთში თელავის მარჯვენა მცველი შეტევაში ჩაერთო და მცველისგან მოგერიებულ ბურთს დაახლოებით საჯარიმოს ხაზიდან დააქუხა – 2:0.

77-ე წუთზე თამაში შეწყდა. თუმცა, დროებით – სტადიონზე განათების სისტემა გაითიშა. თამაში დაახლოებით 7-8 წუთში განახლდა.

დარჩენილ დროში რუმინელებმა 2-ჯერ სახიფათოდ დაარტყეს, ერთხელ ხარიხამაც გადაგვარჩინა. საბოლოოდ, საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა დამაჯერებლად გაიმარჯვა და 2020 წლის შემოდგომიდან დაწყებული წაუგებელი სერია გააგრძელა.

რამაზ სვანაძე:

– ხშირად არ მჩვევია მადლობის გადახდა, მაგრამ ახლა მინდა სწორედ მადლობა გადავუხადო იმისთვის, რომ ამდენი თამაშის მოგება, თუნდაც ამხანაგური იყოს, არ არის მარტივი.

რუმინეთის ახალგაზრდული ნაკრები კარგი გუნდია, კარგი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და ძლიერი შემადგენლობითაც იყო ჩამოსული. რაღაც მომენტში გაგვიჭირდა, მაგრამ საერთო ჯამში ვთვლი, რომ დამსახურებული გამარჯვება მოვიპოვეთ და ყველაფერი, რაც თამაშის წინ დავგეგმეთ, შევასრულეთ და იმედი მაქვს, ასეც გავაგრძელეთ.

ჯორჯო კიელინი: „2006 წლის ფინალში, თასის ნაცვლად, თანაგუნდელის ბავშვი მეკავა“

ტურინის იუვენტუსისა და იტალიის ნაკრების ყოფილმა მცველმა ჯორჯო კიელინიმ სანაკრებო კარიერა დაასრულა. აღარ ითამაშებს არც ტურინის იუვენტუსში, მაგრამ ბურთს ამერიკაში გააგორებს.

როგორც ფეხბურთელი ინტერვიუში ამბობს, იტალია მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ გასულიყო, იუვენტუსიდან არ წავიდოდა.

შეგახსენებთ, კიელინიმ იტალიის ნაკრებში 2004-22 წლებში 117 მატჩში 8 გოლი გაიტანა.

ჯორჯო კიელინი:

– დიახ, მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ გავსულიყავით, იუვენტუსშიც დავრჩებოდი და იტალიის ნაკრებშიც. მინდოდა მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩემი ისტორია შემეცვალა: 2010 წელს ძალიან სუსტ ჯგუფში ჩავრჩით, 2014 წელს მშვენივრად დავიწყეთ, მაგრამ შემდეგ საქმე თავად გავირთულეთ, რადგან მაშინ ძალიან უცნაურ პიროებებში ვითამაშეთ, გიჟური მოგზაურობებით, განრიგით და სიცხეებით. 2018 წელს ვერც კი გავედით ფინალურ ეტაპზე და ძალიან მადარდებდა ეს. რუსეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ გავსულიყავით, ნაკრებიდან შემდეგ წავიდოდი, მაგრამ ალბათ ეს შეცდომა იქნებოდა, რადგან ნაკრებში საუკეთესო წლები მანჩინის ხელმძღვანელობით მქონდა და ევროპის ჩემპიონიც გავხდი.

– რას ნიშნავს ნაკრები თქვენთვის?

– ეს არის ყველა ბავშვის ოცნება და მიზანი. ერთადერთია, რაც მთელ ქვეყანას აერთიანებს, ამიტომაც ემოციური ღირებულება აქვს, რომელიც კლუბს სცილდება. გამიმართლა, რომ ყველა ასაკობრივ ნაკრებში ვითამაშე, 15-წლამდე და ზემოთ. კოვერჩანოში 1999 წლიდან ვცხოვრობდი და ყველა ლურჯ მაისურს დიდი სიამაყით ვატარებდი. 2018 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ ვერ გავედით, იმდენად იმედგაცრუებული ვიყავი, რომ ნაკრებიდან წასვლას ვაპირებდი, გაბრიელე ორიალიმ გადამაფიქრებინა. 17-წლამდე ნაკრებში ვითამაშე ტორესის და ინიესტას ესპანეთის წინააღმდეგ, ვერ წარმოვიდგენდი, რომ მათ 20-წლიანი კარიერის განმავლობაში მრავალჯერ შეხვდებოდი. ჩემი ისტორიული მეტოქეობა არა ფეხბურთელს, არამედ გუნდებს უკავშირდება. ბარსელონას და რეალის ფეხბურთელებთან ყველაზე მეტად მიჭირდა, ხშირად ვმარცხდებოდი, მაგრამ ასევე მოვიგე მატჩები, რომლებიც ისტორიაში დარჩა.

– თქვენი პირველი მწვრთნელები ვინ იყვნენ?

– 15-წლამდე ნაკრებში ჯერ როზარიო რამპანტიმ გამომიძახა, შემდეგ პაოლო ბერეტინიმ. 2 მწვრთნელი, რომლებთანაც ურთიერთობა დღესაც მაქვს. ლივორნოში ვთამაშობდი, არ ვიყავი შესახედად ყველაზე ლამაზი, არ ვიყავი ტექნიკურად კარგი, მაგრამ მათ ჩემში რაღაც განსხვავებული დაინახეს, რამაც საშუალება მომცა ასეთი კარიერა მქონოდა. გარდა ამისა, მოვიგე 19-წლამდე ევროპის ჩემპიონატი. ჩვენ ერთადერთი 19-წლამდე ნაკრები ვიყავით იტალიის ისტორიაში, რომელმაც ტიტული მოიგო. იმ წლებში შევხვდი ისეთ ადამიანებს, რომლებმაც ბევრი მასწავლეს. ეს ძვირფასი გაკვეთილები იყო.

– ეროვნულ ნაკრებში დებიუტიც გაიხსენეთ.

– მარჩელო ლიპიმ ეროვნულ ნაკრებში 2004 წელს გამომიძახა. იმავე წელსვე ევროპის 21-წლამდე ჩემპიონატის გამოტოვება მომიწია, რადგან ლივორნოში სერია ბ-ს ფლეი ოფი მქონდა. მთელი წლის განმავლობაში ახალგაზრდული ნაკრების წევრი ვიყავი, მაგრამ ფედერაციამ და კლუბმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. ჩემთვის ეს სამწუხაროა, რადგან შემეძლო მაშინდელი ევროპის 21-წლამდე ჩემპიონის ტიტული მეც მომეგო. ათენის ოლიმპიადაზე თავს თითქმის ტურისტად ვგრძნობდი, რადგან ვვარჯიშობდი და ვუყურებდი ხალხის თამაშს, რომლებიც იმ პერიოდში ჩემთან შედარებით სხვა კატეგორიას წარმოადგენდნენ. იმ გუნდში იყვნენ პირლო, ფერარი და პელიცოლი. მე კი, სერია ა-ში ერთხელაც არ მქონდა ნათამაშები. საინტერესო 1 თვე იყო, 6 თამაშში მხოლოდ 6 წუთი ვითამაშე, მაგრამ ამან მომდევნო სეზონისთვის დიდი ენერგია მომცა. შემდეგ დადგა ეროვნულ ნაკრებში დებიუტის დღე: 2004 წლის 17 ნოემბერი. იმ დღეს ჩემი მეუღლე 17 წლის გახდა, ამიტომ, ეს დღე უიღბლო ვერ იქნებოდა. ფინეთთან პირველი ტაიმის შემდეგ მოედანზე პარიზის ნაცვლად შევედი, მოუმწიფებელი ვიყავი, ბევრ შეცდომას ვუშვებდი, მაგრამ ძალიან მონდომებული ვიყავი. 2005 წლის მარტში პირველად ვითამაშე ძირითად შემადგენლობაში ოფიციალურ მატჩში შოტლანდიის წინააღმდეგ, ცუდი არ იყო ბიჭისთვის, რომელიც ჯერ მხოლოდ 20 წლის იყო. სერია ა-ში პირველი სეზონის შემდეგ ნაკრებში 5 თამაში მქონდა ჩატარებული. დიდი ბედნიერება იყო, ლიპი პირველი მწვრთნელი იყო, ვინც ეროვნულ ნაკრებში გამომიძახა, ის ტაქტიკით გატაცებული არ იყო, მაგრამ თანამედროვე ფეხბურთს გვათამაშებდა.

– და მაინც 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს განაცხადს მიღმა დარჩით.

– იუვე ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდი გამართლება იყო, მაგრამ იმ სეზონში ფიორენტინაში რომ დავრჩენილიყავი, ნაკრებში მოხვედრა უფრო ადვილი იქნებოდა, რადგან კლუბში უფრო მეტი სათამაშო დრო მექნებოდა. შეიძლება, იუვეში გადასვლა ერთი წლით რომ გადამედო, ნაკრებში მუნდიალისთვის მოვხვედრილიყავი. თუმცა, შესაძლოა, მზადაც არ ვიყავი. ერთია, იუვეში, როგორც ამ გუნდის ოჯახის წევრი, სიამოვნებას ვიღებდი. გერმანიასთან ნახევარფინალის შემდეგ ჩემს აგენტს, მარჩელო ლიპის შვილ დავიდე ლიპის დავურეკე და ვუთხარი – ფინალში ბერლინში უნდა ვიყო. იმ სეზონში იუვეში ბუფონის, კანავაროს, დელ პიეროს, კამორანეზის და ძამბროტას თანაგუნდელი ვიყავი, გუნდში ბევრი ჩემი მეგობარი იყო. ფინალში ტრიბუნებზე ვარ, ხელში ფაბიო კანავაროს შვილი, მარტინა მიჭირავს. სიხარულით ვტიროდი და ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ 15 წლის შემდეგ ათასჯერ უფრო ძლიერ ემოციას განვიცდიდი და კაპიტნის რანგში ტიტულს მე აღვმართავდი.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ფედერაციები

4 ივნისი

ფეხბურთი

უეფას ერთა თასი

ა დივიზიონი

უნგრეთი-ინგლისი	1:0
იტალია-გერმანია	1:1

ბ დივიზიონი

სომხეთი-ირლანდია	1:0
ფინეთი-ბოსნია	1:1
ჩერნოგორია-რუმინეთი	2:0

ც დივიზიონი

ლიეტუვა-ლუქსემბურგი	0:2
თურქეთი-ფარერები	4:0

ეჩ 2023 (21). საკვალიფიკაციო ეტაპი

ბელარუსი-პორტუგალია	1:5
დანია-ყაზახეთი	3:0
ანდორა-კოსოვო	0:3
შვეიცარია-ბულგარეთი	1:0

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

მადლიერ პაციენტთა რიცხვი ათასობითაა:

ლია თეთრაშვილი: მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

კლარა წიტაიშვილი: კორონას შემდეგ დამეწყო საშინელი თმის ცვენა. ვცადე ძალიან ბევრი საშუალება, მაგრამ უშედეგოდ. ლამარა თოდუას წამლებმა თმის ცვენა ხომ შემიჩერა და თმა გაცილებით ხშირიც გამიხდა. ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს, ვურჩევ მიაკითხოს ქალბატონ ლამარას.

თინა სორდია: კორონამ დამიტოვა საშინელი ხველა და ქოშინი. ლამარა თოდუას წამლების მიღებიდან მესამე დღესვე შემისუსტდა ხველა, გულიც აღარ მეღლება. 5-6 დღის შემდეგ ძილიც გამიუმჯობესდა.

ლილი კიზირია: 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო განცხადებები

ნანა ჭეიშვილის ხსოვნას

ძვირფასო ნანა, შენი ნათესავები და ახლობლები დარწმუნებულები ვართ, რომ შენი სული, ამ ხანმოკლე, მაგრამ სირთულეებით აღსავსე ცხოვრების შემდეგ, იპოვის მყუდრო განსასვენებელს შენს საყვარელ მამიკოსთან ერთად.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. ქარის მიმართულებისა და სიჩქარის განმსაზღვრელი ხელსაწყო; 2. ტანვარჯიშის სკოლა ძველ საბერძნეთში; 3. მთავარი პარტიის შემსრულებელი მომღერალი ქალი ოპერაში; 4. ტრამვაის მძღოლი; 5. სპორტის სათამაშო სახეობა; 10. მსხლის ერთ-ერთი ჯიში; 11. ჩქარტემპიანი ესპანური ცეკვა გიტარისა და კასტანიეტების თანხლებით; 12. ალუმინის შემცველი მადანი; 13. ცნობილი უკრაინელი ფეხბურთელი; 16. ლატვიის ისტორიული სახელწოდება; 17. საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 19. ნადირთა მფარველი ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 21. უხესი, უშნო ხმა; 23. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა.

თარაზულად: 6. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 7. ორლოპოტიანი ნიჩბებით სამართავი სპორტული ნავი; 8. შტატი აშშ-ში; 9. ტყავის დამამუშავებელი საამქრო ძველად; 14. ჩეჩნების და ინგუშების საერთო სახელწოდება საქართველოში ძველად; 15. ორკუზიანი აქლემი; 18. ბაღჩეული ხილი; 20. გერმანული ღუდი; 22. სან-რემოს კინოფესტივალის განპრის მფლობელი თენგიზ აბულაძის მხატვრული ფილმი; 24. სასტუმროს თანამშრომელი; 25. ვინმეს ან რაიმეს მიმართ გადაჭარბებული თაყვანისცემა; 26. ბუღალტერიაში საწარმოს, ორგანიზაციის ვალებისა და ვალდებულებების ერთობლიობა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჟოლო; 2. ვისკი; 3. იმამი; 4. ნანტი; 5. შულერი; 6. რიტორიკა; 8. ინფანტერია; 10. მელანქოლია; 11. ჩახრუხაძე; 14. ფატუმი; 15. ოკრიბა; 16. პუნში.

თარაზულად: 1. ყინვალი; 4. ნიშადური; 7. ლუქსი; 9. გიუმი; 12. ჩითილი; 13. უფიცა; 14. ფეიხოა; 17. მეტეხი; 18. კალიმანტანი; 19. მაკბეტი; 20. რაპირა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ისტვუდი; 2. ჩოქბჯენი; 3. ფილატელია; 4. ამერიკა; 5. გინეკოლოგი; 10. ქორალი; 11. კოსტიოლი; 12. მუხიანი; 13. არეშიძე; 16. გალაქტიკა; 17. ზელინსკი; 19. არბალეტი; 21. ფლუსი; 23. პორშე.

თარაზულად: 6. ქსენოფობია; 7. ამტყელი; 8. დურუჯი; 9. სტეინიცი; 14. არსენალი; 15. ციხისძირი; 18. მალტა; 20. ვერმელი; 22. რეპლიკა; 24. ალმაზა; 25. ვილნიუსი; 26. ჰაშეკი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

6 ივნისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — **2.9707**

ევრო — **3.1890**

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — **3.7315**

100 რუსული რუბლი — **4.7773**

ამინდის პროგნოზი 6 ივნისისათვის

კრიშტიანო რონალდუ მანჩესტერში დარჩება



მანჩესტერ იუნაიტედის პორტუგალიელი ვარსკვლავი კრიშტიანო რონალდუ მანჩესტერ იუნაიტედში მინიმუმ კიდევ ერთი სეზონით დარჩება და ამის შესახებ ინფორმაცია ბრიტანულ მედიაში ვრცელდება.

ინფორმაციის თანახმად, რონალდუ არ აპირებს გუნდის გამოცვლას, რადგან მას სჯერა იუნაიტედის პერსპექტივის და იმის, რომ მომავალ სეზონში გუნდს შეუძლია ტიტულებისთვის ბრძოლა.



სალაჰი: „ფინალში უბრალოდ არ გაგვიმართლა“

ლივერპულის ეგვიპტელმა ლიდერმა მოჰამედ სალაჰმა ჩემპიონთა ლიგის ფინალზე ისაუბრა და თქვა, რომ მის გუნდს უბრალოდ არ გაუმართლა და რეალმა იღბლის წყალობით შეძლო გამარჯვების მოპოვება.

სალაჰის აზრით, ლივერპული უფრო ძლიერი გუნდია:

– ჩვენ ფინალში უკეთესები ვიყავით და უბრალოდ არ გაგვიმართლა, ამიტომ ეს მარცხი კიდევ უფრო დასანანია, მაგრამ ჩვენ მხოლოდ წინ ვიყურებით.

მესი: „ვგრძნობ, რომ ოპტიმალურ ფორმასთან ახლოს ვარ“



არგენტინის ნაკრების და პსჟ-ს ლიდერმა ლიონელ მესიმ განაცხადა, რომ ის ოპტიმალურ ფორმასთან ახლოს არის და შეეცდება, რომ ეს ფორმა მან მომავალშიც შეინარჩუნოს:

– არგენტინის ნაკრებში კარგად ვთამაშობ და ეს შემთხვევითი არ არის. ვიცი, რომ კარგ ფორმაში ვარ და ეს უნდა შევინარჩუნო. მომავალ სეზონში მაყურებელი სულ სხვა მესის იხილავს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მხატვარმა თედო რეხვიაშვილმა პროტესტის ნიშნად ნახატი დაწვა

ახალგაზრდა მხატვარმა თედო რეხვიაშვილმა კულტურის სამინისტროსა და მისი ხელმძღვანელის თეა წულუკიანის პოლიტიკა გააპროტესტა.

ხელოვანმა ერთ-ერთი საკუთარი ნახატი პროტესტის ნიშნად დაწვა და ასე გამოხატა უკმაყოფილება კულტურის სამინისტროს მისამართით.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

6 ივნისისათვის

ვერძი – გაწონასწორებული, მშვიდი დღეა. თამამად გარისკეთ. წარმატება არ დააყოვნებს. **კურო** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. ქალებს პლანეტა ვენერა გიღიმით. ინტიმურ სფეროში იმარჯვებთ. **ტყუპები** – აქტიურ დასვენებას დღეს არაფერი სჯობს. შეგიძლიათ ასევე მოაწესრიგოთ საქმიანი ქაღალდები. **კირჩხიბი** – მიუხედავად სირთულეებისა, ყოველგვარ დაბრკოლებას მალე გადალახავთ. სასურველ მიზანს აუცილებლად მიაღწევთ. **ლომი** – თქვენი ტალანტი შეუმჩნეველი არ დარჩება. ახალი იდეების რეალიზება არ გაგიჭირდებათ. **ქალწული** – ჰარმონიული დღეა. ძველ მეგობრებთან შეხვედრა გაგახალისებთ. ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია. **სასწორი** – ეს დღე ოჯახის წევრების გარემოცვაში გაატარეთ. დღის ნეგატიური ტენდენციების დაძლევაში თავშეკავებულობა და ზომიერება დაგეხმარებათ. **ღრიანკალი** – საქმიანი მოლაპარაკებებისათვის ეს დღე ზედგამოჭრილია. თქვენი ინტერესები არ დაზარალდება. **მშვილდოსანი** – საქმეს პრაქტიკული კუთხით მიუდექით. თქვენი ენერგია რაციონალურად გამოიყენეთ. **თხის რქა** – პრობლემების დაძლევაში ძველი მეგობრები დაგეხმარებიან. მოვლენები თვითდინებაზე მიუშვით. **მერწყული** – ჯანმრთელობას დიდი ყურადღება დაუთმეთ. ერიდეთ თავყრილობებს. ბავშვებს უმეთვალყურეოდ ნუ დატოვებთ. **თევზები** – საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოვლენილი ნეგატივი პირად ცხოვრებაზეც აისახება. მოსალოდნელია ძველი კავშირების აღდგენა.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

კაცი ქალს ეუბნება:

– თეა, ცოლად გამომყევი!

– დილით გამოფხიზლდები და გადაიფიქრებ!

– გეფიცები, არ გამოვფხიზლდები!

●●●

ერთი ქალი მეორეს უყვება:

– გუშინ შესანიშნავი სექსი მქონდა. ორივეს ისე მოგვეწონა, რომ რამდენიმეჯერ გავიმეორეთ.

– და ვინ იყო?

– განა იმდენად სულელი ვარ, მის ცოლს რომ ვუთხრა!

●●●

ძლიერი ნისლია. ქალი წინ მიმავალ მანქანას კვალდაკვალ მისდევს. უცბად წინა მანქანამ დაამუხრუჭა და ქალის მანქანა წინას უკნიდან შეასკდა. ქალი მანქანიდან გადმოხტა, მძღოლთან მიირბინა და ეუბნება:

– რა ჯანდაბად დაამუხრუჭეთ?!

– საკუთარ ავტოფარეხში შემოვედი და აბა რა უნდა მექნა?..

●●●

მასწავლებელი ჯენტლმენურად ქცევის წესებს ხსნის:

– კიბეზე მამაკაცი ყოველთვის ქალის წინ მიდის და აბა რომელი მეტყვის, რატომ? აბა, გიგი, მიპასუხე.

– იმიტომ, რომ ქალმა არ იცის, რომელ სართულზე ცხოვრობს მამაკაცი.

●●●

ზოომაღაზიაში ქალი გამყიდველს ეკითხება:

– რატომ ღირს ეს კუ 200 ლარი, მეორე კი – 300? ისინი ხომ აბსოლუტურად ერთნაირები არიან.

– ერთი 200 წელს იცხოვრებს თქვენთან, მეორე კი – 300 წელს.

– აჰა, გასაგებია...

●●●

რუსს ეკითხებიან:

– სად მთავრდება თქვენი ქვეყნის ტერიტორია?

– იქ, სადაც კარგი გზები იწყება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლიკა მამაცაშვილი გაათავისუფლეს

ისტორიის მუზეუმიდან გამოფენების კურატორი ლიკა მამაცაშვილი გაათავისუფლეს.

ინფორმაცია ამის შესახებ ლიტერატურის მუზეუმის ხელმძღვანელმა ლაშა ბაქრაძემ გაავრცელა:

– ლიკა მამაცაშვილი შემხვდა ქუჩაში და მითხრა: გამაგდესო.

ხო, ბევრი კარგი სპეციალისტი გამოყარეს ამ ბოლო დროს, ლიკაც შეავიწროვეს, მაგრამ ეს ამბავი მაინც იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ვერაფერი ვერ ვუთხარი. ან კი, როგორ ვცე ნუგეში ადამიანს, რომელსაც ათწლეულების თავჩაუხრელი მუშაობის შემდეგ, მადლობის მაგიერ, ასე უღირსად მოექცევიან?

თუ თანამედროვე ქართული ხელოვნების შესახებ რამე ვიცით დღეს და ის რამეს წარმოადგენს, ეს დიდწილად ლიკას დამსახურებაცაა.

უამრავ ხელოვანს გაუხსნა კარი ლიკამ.

ასეთი ახლისათვის ღია და დაუზარელი ადამიანები ქმნიან თანამედროვე კულტურას.

როგორ შეიძლება, ადამიანი იყოს მოტივირებული, ამ ქვეყანაში რამე გააკეთოს, როცა ბოლოს მაინც ჭიტლაყი ელის?

არც ინსტიტუციური მეხსიერება იარსებებს ოდესმე ამ ქვეყანაში, სადაც წარსულსა და მომავალს შორის მუდამ უპატივცემულოდ და ძალადობრივად წყდება კავშირი.

სუნთქვაც შეუძლებელი გახდა.

„გორდელა“ 15 წლის იუბილეს კონცერტით აღნიშნავს

ანსამბლი „გორდელა“ წელს დაარსებიდან 15 წლის იუბილეს აღნიშნავს.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ანსამბლის წევრები 14 ივნისს შეიკრიბებიან და მსმენელისთვის კონცერტს გამართავენ.

„გორდელას“ „თაშრე“ უმასპინძლებს და კონცერტზე მისული მსმენელი როგორც ძველ, ასევე ახალ მუსიკალურ ნომრებს მოისმენს.

როინ აბუსელიძე: „ნელი სიკვდილია ეს ქვეყანა“

ასე მიაჩნია პოეტ როინ აბუსელიძეს და საკუთარ იმედგაცრუებას არ მალავს:

– ასეთი იმედგაცრუებული, ხელმოცარული და ფარ-ხმალ დაყრილი არასდროს ვყოფილვარ. ეს ქვეყანა არაა, ეს არის ადგილი, სადაც მალე ჰაერსაც გაყიდიან ალბათ. მასობრივი გადინება მიდის ხალხის საზღვარგარეთ და უახლოეს მომავალში მეც შევუერთდები ამ ჯგუფს.

აქ არაფერი აღარ არის. აი, ამ დონეზე მიიყვანეს სახელმწიფო. ვინც ემიგრაციაში ხართ, არ ჩამოხვიდეთ! არც კი იფიქროთ დაბრუნებაზე. ნელი სიკვდილია ეს ქვეყანა, ყველაზე ცუდი ადგილია, ყველაზე უმომავლო! არ მეგონა თუ ოდესმე ამას დავწერდი, მაგრამ...



ბაჩო ნაკაშიძე მაკედონიაში მიიწვიეს

ოპერის მომღერალი ბაჩო ნაკაშიძე მაკედონიაში მიიწვიეს, სადას სკოპიის ნაციონალური ოპერისა და ბალეტის თეატრში მისი დებიუტი შედგა ჯუზეპე ვერდის ოპერაში „აიდა“:

– ვარ ძალიან ბედნიერი, მაკედონიის დედაქალაქ სკოპიის ნაციონალურ ოპერისა და ბალეტის თეატრში შედგა ჩემი დებიუტი ჯუზეპე ვერდის ოპერა „აიდა“-ში. შევასრულე ამონასროს როლი.

– ეს გახლავთ მე-20 მთავარი როლი ჩემს საოპერო შემოქმედებაში!

ორმაგად სასიხარულო ფაქტია ისიც, რომ ნახევარსაუკუნოვანი ფესტივალია და ამ წელს გაიმართა საიუბილეო, 50-ე ფესტივალი.

ფესტივალი დავხურეთ ვერდის უდიდესი ქმნილებით. ვულოცავ ყველა მონაწილეს და ორგანიზატორებს. განსაკუთრებული მადლობა მინდა ჩემს პიანისტს გადავუხადო, ასევე დიდი მადლობა ჩემს პედაგოგებსა და მეგობრებს.

ტერენტი გრანელის სახელობის ფესტივალს წალენჯიხა უმასპინძლებს

17-19 ივნისს წალენჯიხაში ლიტერატურული ფესტივალი „გრანელი“ გაიმართება.

ფესტივალის ორგანიზატორები საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიაა.

ლიტერატურული ფესტივალის ფარგლებში, 17-18 ივნისს წალენჯიხასა და ჯვარში ჩატარდება წიგნების გამოფენა-გაყიდვა, 15-მდე გამომცემლობის მონაწილეობით. 17 ივნისს ფესტივალს წალენჯიხა გრანელის პარკში უმასპინძლებს, 18 ივნისს კი ღონისძიება ჯვარში, კულტურის სახლის ტერიტორიაზე გაგრძელდება.

ფესტივალი, წიგნების გამოფენა-გაყიდვის გარდა, ადგილობრივებს მრავალფეროვან ლიტერატურულ პროგრამას შესთავაზებს. გაიმართება დისკუსიები, წიგნის პრეზენტაციები, საჯარო ლექციები და შეხვედრები თანამედროვე ქართველ მწერლებთან, მათ შორის არიან პაატა შამუგია, ლერი ალიმონაკი, დიანა ანფიმიადი, ერეკლე დეისაძე, რატი ამაღლობელი, ეკა ტოგონიძე, ლაშა ბუღაძე, ზვიად კვარაცხელია, თემურ ელიავა, გიორგი შონია...

19 ივნისს წალენჯიხაში გაიხსნება თანამედროვე ხელოვნების გალერეა და ლევან ცუცქირიძის სახელობის სამხატვრო სტუდია.

ღონისძიება საზეიმოდ დაიხურება ფახულანში, საოკუპაციო გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე. დასკვნით საღამოს გაიცემა წალენჯიხის ლიტერატურული ფესტივალის სპეციალური ჯილდო ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებსა და ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის. ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილია ბესო სოლომონაშვილისა და მარი გულბიანის ფილმების ჩვენება. გაიმართება სხვადასხვა მუსიკალური ღონისძიებებიც.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. თხუნელას მეორე სახელწოდება; 2. ბრინჯაოს ქართული სახელწოდება; 3. მწერების განვითარების ბოლო სტადია; 4. მეოთხე საუკუნის მონასტერი ხაშურის რაიონში; 5. თანამედროვე ქართველი მხატვარი; 6. ადამიანი, რომელმაც უღალატა საკუთარ რწმენას; 8. ტერიტორია, სადაც იძულებითი წესით არის დასახლებული მკვიდრი მოსახლეობა; 10. ელდარ შენგელაიას კინოკომედია; 11. დიდი ზომის მორბენალი ფრინველი; 14. კომპანია „ამაზონის“ მფლობელი; 15. ზღვის წვრილი თევზი, ფართო რეწვის ობიექტი; 16. გიორგი ერისთავის პიესა.

თარაზულად: 1. ხორვატიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 4. ისტორიული სოფელი მცხეთის რაიონში; 7. მდინარე ევროპაში; 9. წვნიანი კერძი; 12. რაიმე ამბის, ფაქტის ერთ-ერთი ახსნა; 13. მამასახლისის თანაშემწე სოფელში ძველად; 14. ისრაელის პრეზიდენტი; 17. დიდი ციმბირული ირემი; 18. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ეგვიპტეში; 19. ჩქარტემპიანი უნგრული ცეკვა; 20. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა